ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 59 1877—1905 № 59

კვირა, 24 აპრილი

**გაზეთის ფასი** დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

# ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

**პრემიად 12 წიგნს**

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

**გაზეთის ფასი:** 1 აპრილადან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

**ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

**საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.**

**კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი** და **ნინო ბეჟანის ასული ყიფიანისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ძმისა და მეორე მაზლის

## ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანის

გარდაცვალებას ქ. ბრიუსელში. პანაშვიდი კვირას, 24 ამა აპრილს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—6—2)

**ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.** კვირას, 24 აპრილს, უკანასკნელი წარმოდგენა გაიმართება სამ განყოფილებად. ერთ ღამეს სამი ჭიდაობა იქნება. 1) კავკასიური ჭიდაობა. იჭიდავებენ განთქმული ჰერკულესი მოჭიდავე **გრუდინ ლიტვინოვი** და განთქმული ფალავანი **კულა გლდანელი** პრემიად 100 მანათი თვითონ გლდანელმა დანიშნა. ერთი მათგანი. უეჭველად უნდა წაიქცეს. 2) იჭიდავებენ **ჯიბგირი** და **სანდრო ცხინვალელი**. პრემია ვერცხლის საათი. 3) **მოყვარულთა ჭიდაობა** უპრემიოდ. დასასრულ—პანტომიმა. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე.

დილით:

**ვ. ი. ჯაჯანიძე.** კბილის—8—9 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი.** შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

**ნ. ტ. მულინი.**—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

**ვ. დ. ღამბაშიძე.**—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

**ვ. მ. მანსვეტოვი.**—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

**ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

**კ. ნ. დიასამიძე.** — ვენერიული და კანისა $12^1/_2$ $1^1/_2$ საათ.

**ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.**—ხირურგია 1—2.

საღამოს:

**ს. ი. ვაჩნაძე.**—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ქიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**მ. უ. ჩიქოვანი.**—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი**—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი**—1—$1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩარბინინა**—$1^1/_2$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

**პ. ა. არდაზიანი.**—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აცრის ყვავილს, გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

**Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.**
**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.** წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

**ივანე პ. ახალშენიშვილი**

**გადავიდა:** ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. №) 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**ალექსი-მესხიშვილი,** სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

**გძელიშვილი კონსტანტინე**—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

**ვაჩნაძე სპირიდონ**—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი ახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

**გაბაშვილი გრიგოლ**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ბესარიონ პაპოვი**—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

## გაუგებრობა.

დაუჯერებელია, რომ მშრომელ ხალხის ინტერესების ნამდვილმა დამცველმა უარჰყოს ხალხის უფლება და სოციალურ ცხოვრების ისეთ საფუძველზე მოწყობა, სადაც ამ მშრომელ ხალხს ექნება მთავარი ძალა და გავლენა. ასეთი დაუჯერებელი ამბავი ჩვენში ხდება დღეს. ერთი ჯგუფი ქართველ ინტელიგენციისა, რომელიც მუდამ „ჩვენ“-ობით ლაპარაკობს და მხოლოდ თავისი თავი მიაჩნია ხალხის წარმომადგენლად და მშრომელთა ინტერესების დამცველად, თავგამოდებით ებრძვის დემოკრატიულ ფართო თვით-მართველობის იდეას და ომს უცხადებს სახალხო, ე. ი. ხალხის ბატონობის პრინციპზე აგებულ ეროვნულ ავტონომიას.

ვიმეორებთ, ასეთი ამბავი სხვაგან დაუჯერებელი იქნებოდა; ჩვენში კი ეს ფაქტია და ამიტომ დასაჯერებელიცაა. ჩვენი, ეგრედ წოდებული, „მესამე დასელები“—ვიხმაროთ ეს ძველი ტერმინოლოგია—სასტიკ წინააღმდეგობას უცხადებენ უკიდურეს დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულ ავტონომიის მომხრეებს პოლიტიკურს მისწრაფებაში და ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ მათ სახელი გაუტეხონ, მათი სახალხო დევიზი ხალხსავე შეაძულონ და ამგვარად იმ დიად მისწრაფებას რეალური ნიადაგი ვითომ უნაყოფო გაუხადონ.

იმათი მთავარი საბუთი არის შემდეგი: საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ ჩარხს შეადგენს კლასობრივი განხეთქილება და ბრძოლა. ცხოვრებაში არსებობს წინააღმდეგობა კლასობრივ ინტერესებისა და ეს წინააღმდეგობა აუცილებლად ხდის კლასობრივ ერთობას და სოლიდარობას. მუშა-ხალხს მხოლოდ მუშა ხალხთან შეუძლიან შეკავშირება და საერთო მოქმედება, რადგან მხოლოდ ამგვარ შეერთებით არის მოსახერხებელი ძალის გადიდება და მშრომელთა კლასობრივ ინტერესების უზრუნველად დაცვა. მუშა-ხალხი არის როგორც ჩვენში, ისე რუსეთშიაც, და რახან მუშა ხალხის კლასობრივი ინტერესი ყველგან ერთნაირია,—იგი ბურჟუაზიის წინააღმდეგ არის მიმართული,—ამიტომაც საქართველოსა და რუსეთის მუშა-ხალხის შეერთება საჭიროა საერთო მოწინააღმდეგე კლასთან საბრძოლველად. მაშასადამე, არა ავტონომია, არამედ ცენტრალიზმი არის საჭირო, რომ ქართველი მუშა შეკავშირებული იყოს რუს მუშასთან და შეერთებულის ძალით ეწეოდეს ბრძოლას.

ვინც ცოტათი მაინც ჩახედულია ეკონომიურ საკითხებში,—უეჭველია, მაშინვე მიხვდება, რომ კლასობრივ ბრძოლის პრინციპი სრულებითაც არ ეწინააღმდეგება ავტონომიურ თვით-მართველობის მოთხოვნას. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ საჭირო შეგნება და დამოუკიდებელი აზროვნება არაა საკმაოდ განმტკიცებული და ამიტომ ნაჩვენებ ყალბ დასკვნასაც ჰყავს თავისი მომხრეები.

საქმეც ისაა, რომ სწორედ ქართველ მშრომელ ხალხის კლასობრივი ინტერესი მოითხოვს, რომ საქართველოში დამოუკიდებელი დემოკრატიული თვითმართველობა იქნეს დაარსებული. მშრომელ ხალხს სწორედ ამ თვითმართველობის ფარგალში შეუძლიან საუკეთესოდ დაიცვას თავისი ინტერესები და პრაქტიკულად მეტი ბარაქა მისცეს იმ ბრძოლას, რომელსაც კლასობრივი ბრძოლა ეწოდება.

რუსეთის იმპერია უზარმაზარი ქვეყანაა, სადაც 130 მილიონზე მეტი ხალხი ცხოვრობს, რომელიც კულტურისა და ეკონომიურ განვითარების მხრივ ერთგვარ ერთეულს არ წარმოადგენს. უზარმაზარ რუსეთს ჰყავს თავისი შესაფერი ბურჟუაზია და სოფლის „იუნკრობა“, ჰყავს განუვითარებელი გლეხობა, რომელზედაც კიდევ დიდხანს ითარეშებს მემამულე და უთვალავ მევახშეთა გროვა. როცა რუსეთს ერთი საიმპერიო პარლამენტი და კანონმდებლობა მიეცემა,—ხელად გაბატონდება ბურჟუაზია და კლასი მემამულეთა რომელთანაც ბრძოლას ბრძოლით სახალხო რეფორმების მოპოვებას დიდი ხანი მოუნდება და შესაფერ ძალის განვითარებაც დასჭირდება. დასავლეთ ევროპის მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, თუ რამდენად „კრიჟანგია“ ბურჟუაზია ნამდვილ სახალხო რეფორმების საქმეში. ეს კრიჟანგობა სრულის სიდუხჭირით გამომჟღავნდება, როცა რუსეთში ეკონომიურად ღონიერი კლასები პოლიტიკურ ღონესა და გავლენასაც მოიპოვებენ.

ასეთ პირობებში ქართველმა მუშამ უნდა უცადოს რეფორმებს პეტერბურგიდან და ელოდოს, სანამ მთელს რუსეთში სოციალ-პოლიტიკურ ძალთა განწყობილება არ შეიცვლება და ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოს ორიოდე საპროლეტარო ნამცეცი არ გავარდება.

ახლა თქვენვე გკითხავთ, მკითხველო: ნუ თუ ბრძოლა და ყოველგვარ რეფორმების მოპოვება უფრო ადვილი არ იქნება, როცა საქართველოს მცხოვრებთ, განურჩევლად სქესისა და ქონებისა, თანასწორი უფლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ კანონმდებლობაში და თავისი ცხოვრება ხალხის უმრავლესობის მოთხოვნილების თანახმად მოაგვარონ სხვებისგან დამოუკიდებლად? ნუ თუ ამას კიდევ დამტკიცება სჭირია?

სამწუხაროდ, დღეს ზოგიერთებისთვის აქსიომებიც საკამათო საგნად არის გამხდარი.

განვაგრძობთ. ეს ისეთი საგანია, რომ, იმედია, ყველას გაინტერესებთ...

## დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

22 აპრილი.

**ლონდონი,** 21 აპრილი. მაკედონიის საქმის შესახებ მთავრობამ გამოსცა წიგნი, რომელშიაც გადმოცემულია ინგლისის ელჩის ამა წლის, 7 იანვარს, ლაპარაკი გრაფ ლამსდორფთან. ლამსდორფს უთქვამს, ლანსდოუნის თანახმა ვარო მაკედონიაში საფინანსო რეფორმების შესახებ. საუბედუროდ შარშან ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ პროვინციებში საზოგადო ხარჯების კონტროლისთვის. ლამსდორფის აზრით გაზაფხულზე არეულობა აღარ იქნება მაკედონიაში.

**მოსკოვი,** 22 აპრილი. მესტამბეთა კავშირმა მიმართა ასოთ-ამწყობთ 1 მაისისა და სხვა დღესასწაულების შესახებ.

**ბელგრადი,** 22 აპრილი. დღეს ნენადოვიჩის დათხოვნის შესახებ გამოსცა ბრძანება. ნენადოვიჩი მაშინვე წავიდა საზღვარ-გარეთისაკენ. ოფიციალურად უარჰყოფენ ცნობას, ვითომც სერბიის მეფე პეტრე აპირებდეს ხონთქართან მისვლას.

**პარიზი,** 22 აპრილი. საპოლიტიკო წრეებში ამბობენ, პრეზიდენტ ლუბეს და მეფე ედუარდის შეხვედრის დროს გამოითქვა ერთმანეთის ნდობაო. ორივე მთავრობა ერთმანეთთან თანხმობით არისო. ლონდონში რუსეთის ელჩად ნამყოფს სტალს ელაპარაკა მეფე ედუარდი.—ეს გარემოება რუსეთისადმი სამეგობრო გრძნობის გამომხატველად მიაჩნიათ.

**პეტერბურგი.** მინისტრთა და სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტების თავმჯდომარეთ კრება ჰქონდათ შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა მოეწყოს უმაღლეს სასწავლებლების საქმეები და დაადგინეს: 1) იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც სწავლა შესწყდა, წრეულს გადასასვლელი ეგზამენები არ მოხდეს და ყველა სტუდენტი მომავალ წელშიაც იმავე კურსზე დარჩება, რომელზედაც ეხლა ირიცხებიან; 2) ზემოხსენებულ სასწავლებელთან დაარსებული სტუდენტთა ხელის შემწყობი დაწესებულებანი—საერთო სადგომი, სასადილო და სხ.—დაიკეტოს იმ დრომდე, სანამ სწავლა განახლდებოდეს; 3) მოსწავლეთ არ უნდა გამოერთვათ სწავლის ფული ამ წლის პირველ ნახევრისა; ის ფული კი, რომელიც უკვე შემოტანილია, ან უკანვე უნდა დაუბრუნდეს, ანუ მომავალ წლის სასწავლო გადასახადში ჩაერიცხოს; 4) ის უმაღლესი სასწავლებლები, სადაც მომავალ შემოდგომას სწავლა არ დაიწყება, ან დაიწყობა და ისევ ისე შესწყდება, როგორც ეხლა შეწყვიტეს,—ამასთანა სასწავლებელი დაიკეტება, თვითონ სტუდენტები და პროფესორები კი დათხოვნილ იქმნებიან; 5) იმ დაწესებულების მოთავენი, რომელთაც უმაღლესი სასწავლებლები ემორჩილებიან, დაუყოვნებლივ საქმეს უნდა შეუდგნენ, და ისეთი საშუალებანი გამონახონ, რომ სტუდენტებმა დაკარგული დრო აინაზღაურონ და გასავლელი კურსი შეძლებისა და გვარად გაიარონ; 6) გამოძებნონ ისეთი საშუალებანი, რომ საშუალო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთ შეძლება მიეცეთ უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა და, თუ მოხერხდა, უკანასკნელ კურსის სტუდენტებმა სწავლა დაამთავრონ და ეგზამენები დაიჭირონ.

ეს დადგენილებანი 16 აპრილს უმაღლესად იქმნა დამტკიცებული.

**მოსკოვი,** 22 აპრ. დღევანდელი კერძო საერობო კრება ისეთ საიდუმლოთ არის მიცული, რომ ისიც კი არავინ იცის, სად არის კრება.

**ვარშავა,** 21 აპრილი. 18 აპრილს მომხდარ შეტაკების მსხვერპლთა პატივსაცემლად დემონსტრანტებმა სცადეს ქარხნებში მუშაობის, ტრამვაისის და ვაჭრობის შეჩერება. დემონსტრანტებმა ამ მიზანს ერთის მხრით მიაღწიეს კიდეც, მაგრამ საერთოდ მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

**ბელგრადი.** 21 აპრილი, ვინაიდან სოციალისტების მეთაური შეიპყრეს, გაფიცულმა ხელოსნებმა დემონსტრაცია მოახდინეს. პოლიციამ შეპყრობილი გაანთავისუფლა. გაფიცულნი ამ სიტყვებით მიეგებნენ: ძირს ჯვარი! გაუმარჯოს რესპუბლიკას. თვალსაჩინო შეტაკება არ მომხდარა.

**ლოძი.** 22 აპრილი, გუშინდელმა სროლამ კოსტელში ჟლეტა გამოიწვია. დაიჭრა 8 კაცი, მათგან ხუთი მძიმედ.

**ოდესსა.** 22 აპრილი, პოლიციამ და კაზაკებმა გაფანტეს ის მებულკეები, რომელთაც მომუშავე ამხანაგების განდევნა უნდოდათ. გემთა კომანდების მოთხოვნილებანი განსაკუთრებულ კომისიას გადაეცა. ამ კომისიას შეადგენენ წარმომადგენლნი: გემთა საზოგადოებისა და ნავთ-სადგურის მმართველობისა და მატროსებისა და კაჩეგართაგან ამორჩეული 12 დეპუტატი. კომისია საქმის განხილვას სამ თვეზე დაასრულებს. მანამდის გემთა კომანდები ძველებურ წესზე იმუშავებენ. დერიბასოვის ქუჩაზე შეიპყრეს ერთი უმაწვილი კაცი, რომელსაც ნაღმი აღმოაჩნდა. ეს ნაღმი შემდეგში ექსპერტებმა სტრელბიცკის მოედანზე ააფეთქეს, სასამართლოს მოხელეთა და პოლიციის თანადასწრებით. ზემსკის ქუჩაზე აღმოაჩინეს თოფ-იარაღის საწყობი. ფოტოგრაფიებში მოსამსახურეთ მუშაობა შესწყვიტეს.

**სიმფეროპოლი.** დღეს მშვიდობიანად ჩაიარა. მაღაზიები გააღეს.

**ვენა.** საბაჟო ტარიფის შესახებ სჯელობის დროს, ვაჭრობის მინისტრმა განაცხადა, ახალ ტარიფზე გავლენა იქონია პროტექციონიზმის ქადაგებამ, რომელიც პირველად გერმანიაში დაიწყო, ახალი ტარიფი ერთი ერმანეთის საწინააღმდეგო ინტერესების კომპრომისი არისო. მინისტრმა ისურვა, რომ პროექტი დაუყოვნებლივ იქმნას მიღებული. ჩეხელმა კრიგანოვმა განაცხადა, ჩემი დასი მზად არის მიიღოს ახალი ტარიფი, მხოლოდ ნუ იფიქრებთ, რომ ამით ჩეხელნი პოლიტიკურ ბრძოლაზე უარს ჰყოფენო.

**ბუდაპეშტი.** კოშუტმა განაცხადა, ადრესში ოპოზიციონური კოალიციის სურვილი არის გამოთქმული. ოპოზიცია ეცდება არჩევნებზე უარ-ჰყოს მართველობის ძველი სისტემა.

**სტოკჰოლმი.** ქვედა პალატამ ამომრჩეველთა უფლებათა რეფორმის შესახებ არც ერთი წინადადება არ მიიღო.

**ვენა.** „პოლიტ. კორრესპ.“ ამბობს, მინისტრების შეხვედრამ ერთობ კარგი ნაყოფი მოიტანაო. თუმცა ამით ეხლანდელ მდგომარეობას არაფერი მომატებია, მაგრამ ავსტრიის და იტალიის შორის არსებული კეთილი განწყობილება კი გამოაშკარავდაო.

**რიგა.** გლეხებმა ლიფლიანდიის გუბერნატორს რამდენიმე განცხადება წარუდგინეს, ზოგიერთა მემამულე მამულზე გლეხებს იჯარის ფასს ფულად კი არ ახდევინებს, ფულში ამუშავებსო. ამის გამო გუბერნატორმა გამოაცხადა, გლეხ-კაცს იჯარა უნდა ჰხდებოდეს ფულად და არა მუშით, ამით უნდა მოისპოს დღევანდლამდე არსებული ფარული ბატონ-ყმობა.

**რეველი,** 21 აპრილი. ზოგიერთ სახელოსნოებში თერძები და მკერვალები გაიფიცნენ. ისინი თხოულობდნენ სამუშაო ფასის მომატებას და სამუშაო დღის ერთი საათის დაკლებას.

**ლოძი,** 21 აპრილი. საღამოს 6 საათზე ვიღაცები დაეცნენ ქუჩაში საიდუმლო პოლიციის ზედამხედველის შვილს და თავში დასჭრეს. ფიქრობენ, ზედამხედველის შვილი პოლიციის საიდუმლო აგენტი არისო. ბოროტ-განმზრახველნი დაიმალნენ.

**ბალახანი,** 21 აპრილი. სოფელ პოგოსტში 500 კაციდან შემდგარი გლეხების ბრბო მიუხტა თ-დ ბარიატინსკის მოურავს და მოსთხოვა მიწების საბალახოდ დათმობა.

**ბათუმი,** 21 აპრილი. ბათუმსა და ქუთაისში ქუჩებში გაკრულია განცხადებანი: გენერალ-გუბერნატორი ურჩევს მცხოვრებთ დამშვიდებას და პოლიტიკურ პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლას.

23 აპრილი

**ვარშავა,** 22 აპრილი. გუშინ ლეშნოს ქუჩაზე, როდესაც დაიჭირეს ერთი კაცი, რომელიც მეეტლეებს ერეკებოდა, სამასი კაცისაგან შემდგარი ბრბო დაეცა სადარაჯო რაზმს და სცდილობდა ტყვე განთავისუფლებინა. დაჭრილია—ერთი შუბით, მეორე—ტყვიით. 18 აპრილს მოკლულთა დასაფლავების გამო სოციალისტებმა ძალით დააკეტინეს მაღაზიები და ქარხნები, ამასთან მიერეკებოდნენ მეეტლეებს და აჩერებდნენ ტრამვაის. თეატრში წარმოდგენები არა ყოფილა, გაზეთები არ გამოსულა. გუშინდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა, შეტაკება არ მომხდარა. საღამოზე ზოგიერთა დუქანი გახსნეს. მთავრობისა და სახალხო თეატრებში, რადგანაც ხალხი ცოტა დაესწრო და მსახიობნიც არ მოვიდნენ, წარმოდგენები არ ყოფილა. გრიბოვის ქუჩაზე შვიდს დაჭრილს კაცს საქიმო დახმარება მალე აღმოუჩინეს. რკინის გზის სახელოსნოებში მუშები გაფიცულნი არიან.

**ჰელსინგფორსი,** 22 აპრილი. მარიეგამნსა, ალანდის კუნძულებსა და იბუშერის შუა უმავთულო ტელეგრაფის გასაყვანად სენატმა 40,000 მარკა გადასდო.

**პეტერბურგი,** 22 აპრილი. მომატებული აქციზი ლუდზე, დროჟზე და წუმწუმაზე შემოღებულ იქმნება 1 მაისიდან.—კავკასიაში, თურქესტანში და ციმბირში აქციზი წუმწუმაზე შემოღებულ იქმნება 15 მაისიდან. მოვაჭრეებს შეუძლიათ ჰქონდეთ წუმწუმა დღევანდელ ფასებში ამ ვადების შემდეგ მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში,

**ოდესსა,** 22 აპრილი. გრადონაჩალნიკის ნებართვით თავი მოიყარა 500 მებულკემ, კრებამ აირჩია 30 კაცი მეპურეებთან მოსალაპარაკებლად. მებულკეები თხოულობენ სამუშაო დღის დაწესებას. გაფიცვა ჯერ არ შეწყვეტილა.

**კალიში,** 22 აპრილი. არეულობის გამო, ოთხი დღის გაფიცვის შემდეგ, ქარხნები მუშაობას შეუდგნენ. სამხედრო სადარაჯო რაზმის შეურაცყოფა და ქვების სროლა ჯერ არ შეწყვეტილა. ყოველ დღე აპატიმრებენ. დღეისით მშვიდობიანობაა. გუშინ, აუარებელი ხალხის თანდასწრებით, დამარხეს წმ. ვოიცეხის საყდარში მოკლული ქალი.

## რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

22 აპრილი.

**სინგაპური,** 22 აპრილი. ნებოგატოვის ესკადრამ ჩაიარა აღმოსავლეთისაკენ. აქ ჰფიქრობენ, რომ იგი შევიდის საიგონში და იქ ქვანახშირს და სანოვაგეს აიღებს და შემდეგ შეუერთდება როჟესტვენსკის ესკადრას.

**სინგაპური,** 22 აპრილი. რუსების მესამე ესკადრამ ჩაიარა ჩინეთის ზღვისაკენ.

**პენანგი,** 22 აპრილი. ჰოლანდიის გემმა „გალლევინმა“ კუნძულ სუმატრასთან 7 გემი შენიშნა.

**ლონდონი,** 22 აპრილი. 21 ივნისს მზად იქმნება იაპონიის ახალი სამხედრო გემი „კატორი“.

**ლონდონი,** 22 აპრილი. ინგლისის ათი ნაღმიანი გემი გიბრალტარიდან ჩინეთისკენ მიდის იქაურ ინგლისის სამხედრო ესკადრის გასაძლიერებლად.

**პენანგი,** 22 აპრილი (რეიტერი). ბატუდან წამოსულმა ჰოლანდიის გემმა სუმატრის აღმოსავლეთ ნაპირებთან ნახა 7 სამხედრო გემი. ვისი იყო ეს გემები, არ იციან.

**პარიზი,** 22 აპრილი. «მატენი» იუწყება: იაპონიის კვლავ სურს საფრანგეთის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ პროტესტი განაცხადოს, რადგანაც რუსეთის ესკადრა ხონკეუს ნავთსადგურში იდგა, სადაც ნეიტრალიტეტის დასაცველად გაგზავნილ იქმნა ადმირალ ჟონკიერის ესკადრაო.

**ჰოლკოლნში**, 22 აპრილი. დილის 10 საათი და 40 წუთი. ჩვენ მარცხენა ფრთას იაპონელები ბეჯითად ზვერავენ. 17 აპრილს უკუვაქციეთ მტრის ძლიერი რაზმები.

**ნანშანჩანძი**, 22 აპრილი. ცინხეს ხეობაში, 18 აპრილს, ღამით ჩვენ სოტნიკს ფენშულინის უღელტეხილისაკენ დაახევინეს. იაპონიის ერთი რაზმი ჩასაფრებულ კაზაკებს წააწყდა. მოკლულ იქმნა ერთი იაპონელი, ერთი დაჭრილი ტყვედ ჩაგვივარდა. 20 აპრილს მანგოუზე იერიშის დროს იაპონელთა ქვეითა და ცხენოსანმა რაზმებმა ჩვენს მცველებს უკან დაახევინეს და სოფელი შახეზი აიღეს.

**პარიზი**. ჰავასი 22 აპრილის თარიღით იუწყება, როჟესტვენსკიმ პეტერბურგში შეატყობინა—იაპონიის გემები ბორნეოს სანეიტრალო წყლებში არიანო. თუ ეს მართალი გამოდგა, რუსეთი ნიდერლანდიის მთავრობას პროტესტს განუცხადებსო.

**ტოკიო**. იაპონელები წყალ-ქვეშ მავალ ახალ ნავების ხმარებას კარგად შეეჩვივნენ. „სტანდარტის“ წარმომადგენელს ადმირალ ბრიჯთან ლაპარაკი ჰქონია საზღვაო ზარბაზნებსა და ახალ სამხედრო 18,000—ტონიან გემების შესახებ. ადმირალმა განაცხადა, ამ ზომის გემების აშენება სამხედრო შეცდომა იქნებოდაო. 12 დუიმიან ზარბაზნების შესახებ კი სთქვა, თითო ზარბაზანმა 30-დან—40-ამდე ყუმბარა გაისროლა და მათ გაფუჭებისა არა ეტყობათ-რაო.

**პარიზი**, 22 აპრილი. „მატენ-“ი იუწყება, როჟესტვენსკის ესკადრა, კამრანის ნავთ-სადგურიდან რომ გავიდა, 17 აპრილს გაჩერდა ბინკანგის ნავთ-სადგურში, რომელიც კამრანის ნავთსადგურიდან ჩრდილოეთით რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მდებარეობსო. ამბობენ, მოტონომ ეს ამბავი დელკასეს შეატყობინაო. საფრანგეთის მთავრობამ, როგორც კი მიიღო ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ როჟესტვენსკის ესკადრა ბინკანგის ნავთ-სადგურში იმყოფებაო, იაპონიის-მიერ განცხადებას აღარ მოუცადა და უბრძანა ადმირალ ჟონკიერს, საიგონიდან წასულიყო და ყური ეგდო, რომ საფრანგეთის ნეიტრალიტეტი არ დარღვეულიყო.—პოლიტიკურ წრეებში ჰფიქრობენ, კუნძულ კრიტოსის მფარველი სახელმწიფოები იძულებულნი არიან კუნძულზე მყოფი რაზმები გააძლიერონო.

**პარიზი**, 22 აპრილი. (ჰავასი). იუწყებიან, რომ რუსეთის მთავრობამ კამრანის ინციდენტის გამო როჟესტვენსკის შეუთვალა, საფრანგეთის ნეიტრალიტეტი არ დაარღვიაო. იაპონიის განცხადებებს ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ აქ არაფერ ყურადღებას არ აქცევენ.

**საიგონი**, 22 აპრილი (ჰავასი). ხონხოეს ყურეში 17 აპრილს მყოფი რუსის ესკადრა მეორე დღეს გასვლას აპირებდა, რაც როჟესტვენსკიმ საფრანგეთის მთავრობას აცნობა.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ომი და პატრიოტული პრესსა.** პოლკოვნიკი გედკე მუკდენის ბრძოლის შესახებ სწერდა: «ეს მარტო ერთი დამარცხება კი არ არის, არამედ სრული განადგურებაა. ამ საშინელ დამარცხებით, ჯარს გარდა, სხვა რაღაც განადგურდა, დაინგრა და დაიღუპა. ეს არის რუსეთის მთელი სახელმწიფო სისტემა. იაპონელთა გამარჯვება უდიდესი გამარჯვებაა მთელ ისტორიაში. დამარცხდა არა მარტო პირადობა, ერთი, ორი ან სამი და ათი-ათასი კაცი, არამედ მოუხეშავი, მოუქნელი და ძალმომრეობაზე აშენებული პოლიტიკა შინაურ მართვა-გამგეობისა“.

თუ მართლა ისტორიის გადაწყვეტილება ასეთია, ცხადია, რომ ამ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მთელი რუსეთისთვის, განურჩევლად ერისა და მიმართულებისა. ისტორიის გადაწყვეტილება სწორედ იმით განსხვავდება სხვანაირ გადაწყვეტილებისგან, რომ ის ყველასთვის უბედურ და ადვილად გასაგებ ფაქტებში გამოიხატება. მაგრამ, როგორცა სჩანს, შეგნება ამ გადაწყვეტილებისა რუსეთისთვის საერთო არ ყოფილა. ვერც პორტ-არტურმა, ვერც ლიაოიანმა, ვერც მუკდენმა და ვერც შინაურმა უთავბოლობამ გონზე ვერ მოიყვანა რუსეთის პატრიოტული პრესსა, რომელიც რუსეთის დამარცხებას ყველაფერს დააბრალებს, მხოლოდ ნამდვილ დამნაშავეს კი ორივე ხელით იცავს. ეს, მართლაცა და, „პატრიოტული“ გაზეთები დაჟინებით ყვირიან, ომი უნდა განვაგრძოთო, რადგან „სამარცხვინო ზავი“ რუსეთის ძლიერებას არ შეჰფერისო. ისე გამოდის, თითქმის რუსეთის ფლოტის განადგურება და ნახევარ მილიონ სალდათის ამოჟლეტა უფრო სამარცხვინო არ იყოს და ამით რუსეთის ძლიერება არ შერყეულიყოს. მუკდენის ჯოჯოხეთის შემდეგაც ისევ გულგრილად ყბედობენ, როგორც ლიაოიანისა და პორტ-არტურის შემდეგ ყბედობდნენ. ისე გამოდის, ვითომ მუკდენის დამარცხება რუსეთის ინტელიგენციის ბრალი იყოსო. ყოველ ამგვარ დამარცხების შემდეგ პატრიოტები „შინაურ მტრებსა“ და ინტელიგენციას შავ რაზმებს უსევენ და ასწავლიან, ყველაფერი მათი ბრალიაო. ოფიციალურ გაზეთების პატრიოტები მუკდენის შემდეგაც არ შერცხვნენ, არ შედრკნენ. პირიქით, ისინი მეორე დღესვე ირწმუნებოდნენ, რომ ბრძოლის ველზე საქმე შვენივრად მიდის, რომ იაპონელები თავიანთ გამარჯვებით მხოლოდ თავიანთ თავს ღუპავენ, რომ იაპონია დღეს თუ ხვალ უნდა გაკოტრდეს, ზავი გულით უნდა და სხ. ჩვენ კი სრულ გამარჯვებამდის ბრძოლა სულაც არ გვიჭირსო და ვერაგ და თავხედ იაპოშკას ჭკუა უნდა ვასწავლოთო.

რა ხდება იმავე დროს ბრძოლის ველზე?

ომი როგორღაც თვითონ ომობს, ომობს უაზროდ, უმიზნოდ. რუსები იაპონელების ნებაზე დადიან და გამარჯვების იმედი არა აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ გადაწყვეტილი აქვთ იბრძოლონ იმ დრომდე, სანამ უკანდახევის საათი არ დაჰკრავს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ყოველ ბრძოლის დასაწყისში ყველა გრძნობდა, რომ რუსები უნდა დამარცხდნენ და ამიტომ მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ერთი იერიშის მაგიერ ორი მოეგერებინათ, ან ორის მაგიერ ოთხი, ხუთი და, რაც შეიძლება, მეტი. შეგნებით მხოლოდ იაპონელები იბრძოდნენ, რუსები კი მხოლოდ იაპონელების ნაბიჯს მისდევდნენ და, რასაკვირველია, ხრამის ნაპირას უნდა მისულიყვნენ. რუსები სწორედ იქ იყრიდნენ თავსა, სადაც იაპონელები ცრუ იერიშით მოდიოდნენ და თვალყურს აღარ ადევნებდნენ იმ ალაგებს, რომლებზედაც იაპონელებს ნამდვილ იერიშის მიტანა უნდოდათ.

რუსეთის ჯარი იმდენად ემორჩილებოდა ოიამას ნებასა და გეგმას, რომ ოიამა რუსეთისა და იაპონიის ჯარების უფროსი გახდა. გედკეს სიტყვით სანდეპუს დამარცხებამ გენ. კუროპატკინს მუკდენთან უძია შური. სანდეპუსთან რუსეთის მომაკვდავი სალდათები ტყუილად სთხოვდნენ კუროპატკინს შველას. ამიტომ სანდეპუს ბრძოლამ, რომლის ბრალი მხოლოდ ერთმა გამბედავმა და მამაცმა გენერალმა გრიპენბერგმა მოახვია კისერზე კუროპატკინს, კარები გაუღო მუკდენის გამარჯვებას.

ცხადია, გენ. კუროპატკინს რომ გრიპენბერგისთვის ეშველა, გამარჯვება შეიძლება რუსებისაც ყოფილიყო, რადგან, ჯერ ერთი, ინიციატივა რუსებს ეკუთვნოდა, მეორე—იაპონელები იმ ბრძოლისთვის ჯერ მზად არ იყვნენ, მესამეც—გენ. ნოგი ჯერ ბრძოლის ველზე არ იყო, არც კავამურას ჯარი იყო ამოსული და რუსეთის ჯარიც რიცხვით იაპონიის ჯარზე მეტი იყო. მაგრამ გენ. კუროპატკინმა მოიცადა, გენ. ნოგისა და კავამურას ჯარების ამოსვლას დაუცადა და ბრძოლის ინიციატივაც მარშალ ოიამას დაუთმო. ეს საოცარი და გაუგებარი გადაწყვეტილება კუროპატკინისა ერთი მთავარი მიზეზი იყო მუკდენის უბედურებისა. აი, ამის შემდეგ პატრიოტული პრესსა გენ. კუროპატკინს იმისთვისაც კი აქებს, რომ რუსეთის ჯარი მარშალ ოიამას დაუმორჩილა და რამდენიმე ასი ათასი კაცი თავის მოუხეშაობასა და გაუნძრევლობას ზვარაკად შესწირა (ვეს. ევ.).

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 23 აპრილს, **კიდევ ჩამოვიდა** 50 კაცი თურქესტანის სარკინისგზო სამხედრო ბატალიონისა. ეს ბრიგადაც დეპოებში გაანაწილეს.

✦ „ტიაგის“ ნაწილის უფროსმა ბ-ნმა **ვარტენბურგმა შემდეგი განკარგულება მოახდინა**: რადგანაც თურქესტანიდან სამხედრო ბრიგადა უკვე ჩამოვიდა, ვაცნობებ ჩემ ხელქვეითთ, შესაფერის განკარგულების მოსახდენად, რომ მემანქანეთა თანაშემწეთა თანამდებობის აღმასრულებელნი ჩამოყენებულ იქმნენ ზეინკლებად, ხოლო მემანქანეთა თანამდებობის აღმასრულებელნი—მემანქანეთა თანაშემწეებადაო.

✦ სად. სანაინი. 23 აპრილს, ღამის 2 საათზე, როდესაც საქონლის მატარებელი № 313 დაიძრა, ვიღამაც **ესროლა რევოლვერი უფროს კონდუქტორს და დასჭრა**.

✦ როგორც რიონიდან გვატყობინებენ, საქონლის მატარებელი **ლიანდაგს გადასცილებია** და დამსხვრეულა რამდენიმე ვაგონი. დაშავებულა და მძიმედ დაჭრილა რამდენიმე კაცი.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ყარსის შტოზე, სადგურ კარაკლისთან ჩამოწოლილ მიწის ზვავის გამო, **საქონლის მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა** და რამდენიმე ვაგონი დაიმსხვრა. რამდენიმე კონდუქტორიც მძიმედ დაშავდა.

✦ 28 მარტს სოხუმში მოსწავლეებმა არეულობა მოახდინეს. **პოლიციამ სამი მოსწავლე შეიპყრო.** ერთს მათგანს აღმოაჩნდა წითელი ბაირაღი, რომელსაც ქართულად მთავრობის საწინააღმდეგო წარწერა ჰქონდა (პრავო).

✦ დღეს, 24 აპრილს, ნაშუადღევის 3 საათზე, დიდუბეში, საჯირითო მოედანზე **დანიშნულია დოღი**.

✦ პარასკევს, 22 აპრილს, ქალაქის გამგეობის დარბაზში უსახელო საზოგადოების მეთვალყურე კომისიას კრება ჰქონდა. კრებამ მოისმინა ის საჩივარი, რომ, **ეს მეათე დღეა, უსახელო საზოგადოება არაფერს ღონობს მოძრაობის დასაწყებადაო**. კრებამ, კანონთა მე-1358 მუხლის ძალით, უსახელო საზოგადოება დამნაშავეთა სცნო. საზოგადოება მხოლოდ მაშინ იქმნებოდა მართალი, თუ მას მოსამსახურეებთან კანონიერი ხელშეკრულობა ექნებოდა. კომისიამ დაადგინა: რადგანაც, ქალაქთან ხელშეკრულობის ძალით, თითო ახალ ლიანდაგზე მოძრაობის შეჩერებისათვის უსახელო საზოგადოებამ დღეში 200 მანათი ჯარიმა უნდა იხადოს და ასეთ ახალ ლიანდაგად კი სულ მთელი გზა უნდა ჩაითვალოს იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოდ ელექტრონის მოძრაობა ახალი საქმეა, გადახდეს საზოგადოებას დღეში 1800 მანათი ჯარიმა, იმ დღიდან დაწყებული, ვიდრე ელქტრონის ტრამვაი მოძრაობას არ დაიწყებს. დღემდის ეს ჯარიმა ოცი ათას მანათს შეადგენს.

✦ გუშინ, 23 აპრილს, ტფილისის **ქალაქის მოურავთან წარსდგნენ უსახელო საზოგადოების** ახლად ჩამოსული დელეგატი ინჟენერი მუტრიე და დირექტორი გრიმანისი და განაცხადეს, ჩვენ რაც დაუთმეთ, ამაზე მეტის დათმობა არ შეგვიძლიან, რადგანაც ამ ელექტრონის ტრამვაიზე 5 მილიონი მან. სესხი გვაქვს აღებული და იმის სარგებლის გასტუმრებას ვანდომებთ თავისუფალ თანხასაო. თუ გადასაჯდომ ბილეთზე ტარიფი არ მოუმატეთ, ან ეტლებზე ტაქსა არ ასწიეთ, მოძრაობას ვერ დავიწყებთ, თუმცა 60 კაცი მოსამსახურე უკვე თანახმაა მუშაობაზეო.

✦ კავკასიის უმაღლესის მთავრობის წინაშე **ლოტრანგთა საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა** სოხუმის ოლქის სოფელ ესტონში სამლოცველოსა და სკოლის აგების შესახებ.

✦ სოფ. **ეკატერინოფელდში** (ბორჩ. მაზრა) **მცხოვრები გერმანელები** მდინარე მამაბერჩაიზე თავიანთ ხარჯით რკინის ხიდის გადებას შეუდგნენ.

✦ ტფილისის განაპირა უბნების მცხოვრებნი ძლიერ სწუხან იმის გამო, რომ ქალაქის გამგეობა მათთვის არა ზრუნავს, თითქო **ღარიბი ხალხით დასახლებული უბნები** ქალაქის მამებისთვის არც კი არსებობდეს. უკანასკნელმა წვიმებმა თვალნათლივ უჩვენეს მთაწმინდელებსა და სხვა მათებრ დაშორებულ უბნელებს, რომ იგინი ღვთის ანაბარად არიან მიტოვებულნი: ქუჩები მოუკირწყლავია, ოღრო-ჩოღრო და ეზოები უკანალიზაციო. ყოველ წვიმების დროს მოვარდნილი ნიაღვრები იმოდენა ღორღსა და ქვიშას ჩამოიტანს ხოლმე ქუჩაზე, ქუჩები ისე გაივსება ხოლმე წყლით, რომ ერთის ნაპირიდან მეორეზე გადასვლა მოუხერხებელია.

✦ გუშინ, 23 აპრილს, კავკასიის ნამესტნიკის სამხედრო ნაწილის თანაშემწემ **გენერალმა მალამამ** იუნკერთა სასწავლებელში ახლად კურს გათავებულ იუნკრებს **მიულოცა პოდპრაპორშჩიკობის ხარისხის მიღება.** წელს იუნკრები ნაადრევად დააჯილდოვეს.

✦ ტფილისში მცხოვრებ ოსმალეთის კონსულს რიფატ-ბეის ბაქოს გუბერნიის 50 კომლისაგან თხოვნა მიუღია, ნება მოგვეცით ოსმალეთში გადავსახლდეთო. კონსულმა აუხსნა: ვიდრე რუსეთის მთავრობისაგან გადასახლების ნებართვას არ მიიღებთ, თქვენ თხოვნას ვერ მივიღებო („მშაკ.“).

✦ ტფილისის სავაჭრო პოლიციის **გამგე ბ-ნ ბაბოვს დაევალა**, წყალდიდობისა გამო, ახლავე მიიღოს შესაფერი ზომები რიყის მცხოვრებთა უზრუნველსაყოფელად.

✦ დღეს, 24 აპრილს, მარიამიან-ონანოვის სკოლაში **იდღესასწაულებენ** მღვდელს **არსენ ბაგრატუნის** 30 წ. საპედაგოგო და სამღვდელო **მოღვაწეობის იუბილეის**.

მღვდელი ბაგრატუნი დილის 10 საათზე სწირავს მოლოზნების მონასტერში და შემდეგ მიიღებს მომლოცავებს სკოლის დარბაზში. სომეხ ახალგაზდობის ერთი ნაწილი იმის ხელში არის აღზდილი („მშაკ“).

✦ როგორც მკითხველებმა იციან, ბაქოს გუბერნატორი თ-დი ნაკაშიძე და პოლიცმეისტერი **ცილის წამებაზე უჩივიან** ბაქოს ქალაქის მოურავად ნამყოფ **ა. ნოვიკოვს**. როგორც «ბაქ. იზვ». გადმოგვცემს, ნოვიკოვს სასამართლოში დაიცავს ცნობილი ვექილი კარაბჩევსკი.

✦ ჩვენ გვთხოვენ შემდეგი დავბეჭდოთ: „ამას წინად **უკვალოდ დაიკარგა** ავადმყოფი კოლია ბებურიშვილი. ნაცნობები სთხოვენ იმათ, რომელთაც, იციან სად იმყოფება იგი, აცნობონ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას. ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც—გადაბეჭდონ ეს ცნობა“.

✦ გაზ. „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილია შემდეგი წერილი:

„წავიკითხე წერილი, ვითომდა ქართველ ხალხის საკეთილდღეო სურვილებსა და შეხედულებებში [illegible], ბ-ნთ მ. გ. მაჩაბლისა, ი. ს. ჯაბადარისა და გ. დ. გაბაშვილისა და არ შემიძლიან, ამ პირთ ჩემი გულითადი მწუხარება არ გამოვუცხადო, რადგან ნათლად სჩანს, რომ ისინი უკან ჩამორჩენილან, როგორც თავისიანებს (ინტელიგენციის წრეს), ისე ხალხსაც. ჩემთვის უთვალად გაუგებარია, ზემოხსენებული აზნაურ-ინტელიგენტები რად თხოულობენ თავ. ა. ი. ორბელიანისაგან განმარტებებს, რომელთაც საქმისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს?!. განა ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობამ ადრესი არ მიიღო?! მე ბოროტ-მოქმედებად ვსთვლი ამ პირების განცხადებას, ვითომც თავად-აზნაურობა, თავ. კიტა აბაშიძის მეთაურობით ავტონომიას, ხალხის კისერზე ახვევს. შეიძლება სოფლის გლეხმა არ იცოდეს სიტყვა „ავტონომია“, მაგრამ საქმე განა საგნის დასახელებაზეა? ვსთქვათ, რომ არ იციან ამის სახელი, მაგრამ ღრმად ჩაუკვირდით იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც ქართველმა ხალხმა სხვადასხვა კუთხეში წამოაყენა, და ნათლად დაინახავთ, რომ ისინი არაფრით არ განირჩევიან იმ ავტონომიისაგან, რომლისაც ამ პირებს ასე ეშინიათ. ბ-ნი მაჩაბელი და ამხანაგობა აცხადებს: „ჩვენ ხალხს სურს გვერდში ამოუდგეს რუსეთის ერს და მოითხოვოს ის, რასაც ისინი თხოულობენ. ზედ-მეტად კი უნდა მოითხოვოს თავისუფლება ენისა, ეკკლესიისა, სასამართლოსი, სკოლისა და საზოგადო თვითმართველობაში“. ამნაირი მსჯელობა ამტკიცებს, რომ იმათ არ ესმით და არ იციან, რასაც სწერენ, თორემ განა შეიძლება კიდევ რამე ითქვას იმის შემდეგ, რაც მათ თავის პირით აღიარეს? არა და არა, რადგან რუსის ხალხს ავტონომიაზე მეტი რამ აქვს, ქართველი ხალხი კი თხოულობს ყველა იმას, რაც იმათ—ჩვენ უფროსს, თანამორწმუნე ძმებს—რუსებსა აქვთ და რასაც ახლა თხოულობენ.

**ქუთ. გუბ. თავად-აზნაურთა ერთ-ერთი წინამძღოლთაგანი.**

## ოფიციალური ცნობა

ტფილისის გაზეთებში „ივერია“-სა და „ტელეფონ“-ში, დაიბეჭდა ცნობა, რომელიც შემდეგ სხვა

## ფელეტონი

### გურული „ნანინა“

ჯერ აკვანში ჩაკრული ხარ...
გასალტული და იწვალე!
გაიზრდები, სხვა იქნები,—
ოი, ამას ვენაცვალე!..

—

მე, მონობის დროს ნაშობი,
მონობაში დავილალე;
შენ კი სულ სხვა ბედისა ხარ,—
ოი, ამას ვენაცვალე!..

—

ის, რაც იყო, აღარ არის,
შეიცვლება დღეს თუ ხვალე;
გზატკეცილი დაგიხვდება,—
ოი, ამას ვენაცვალე!

—

„ნანას“ გეტყვი სხვა ნაირსა,
მარცვლა-გარცვლა დაისწავლე;
მხსნელს დახსნილი მიეგებე!..
ოი, ამას ვენაცვალე!!.

—

რაც მე მტანჯავს, ნულარ მკითხავ!
ის ოდესმე შენ დასთვალე
და პასუხიც აგეიე...
ოი, ამას ვენაცვალე!..

—

მაგრამ ჯერ კი აკვანში ხარ,—
გაიზარდე, მალე, მალე!
რომ შენს შვილებს შენც მოუთხრა:
ოი, ამას ვენაცვალე!

აკაკი.

### გველების ყორე.

სოფლის შუაგულში იყო ტბა აშმორებული და გახრწნილი. ზევიდან დამპალი, მწვანე წიკვლი ჰქონდა გადაკრული. მის ქვეშ დასისინებდნენ გველები, ირეოდნენ ბაყაყები, იგრიხებოდნენ წურბლები. ხანდახან რომელიმე ჯოჯო ამოჰყოფდა თავს და ამით ატყობინებდა არე-მარეს, რომ ტბის ძირშიაც იყო სიცოცხლე, რომ იქ, ტბის ძირშიაც, ათასგვარ ქვემძრომს მოეყარა თავი და ცხოვრებდნენ ტკბილად, შეუშფოთებლად.

ჰაერი კი იწამლებოდა და მთელი სოფელი დაავადებული, ავადმყოფი კვნესოდა და შესჩიოდა ღმერთს თავის მწუხარებას. ხალხს ფიქრშიაც არ მოსდიოდა ტბისთვის ხელი შეეხო, ან კი როგორ წარმოიდგენდა, რომ შეიძლებოდა მისი თავიდან მოშორება, მისი ამოშრობა.

„მამა-პაპიდან ასე ყოფილა,—არიგებდნენ ახალგაზდებს ბერიკაცები,—ალბად ღვთისაგან არის ასე გაჩენილიო“ და სხვა... მოჰყავდათ მოხუცებს ათასგვარი საბუთი ახალგაზდების დასარწმუნებლად, რომელთაც ვეღარ აეტანათ სულშემხუთავი მოწამლული ჰაერი. მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც ხშირად იკრიბებოდნენ სოფელში და თათბირობდნენ იმაზე, თუ როგორ და რანაირათ შეიძლებოდა ტბის დამარხვა და სოფლის სიკვდილისაგან გადარჩენა.

ბევრმა მათგანმა სცადა გაეწმინდა ტბა სიბინძურისაგან, მაგრამ თითოეული ცალკე ვერ ერეოდა მძიმე საქმეს და შხამიანი გველების მსხვერპლი ხდებოდა. ბევრმა, ძალიან ბევრმა თავ-გამოდებულმა შესწირა სოფელს თავი! ამხანაგები სტიროდნენ მათ, მოხუცები ხელებ-აპყრობილნი ევედრებოდნენ ზენას, ეპატიებინა თავხედთათვის ცოდვა...

სოფელი კი გაყვითლებული, დასნეულებული მოშხამულ, შეგუბებულ ჰაერის სუდარაში შეხვეულიყო.

ამგვარად გაატარა რამდენიმე საუკუნე უბედურმა ხალხმა, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და ტბასაც დაუდგა უკანასკნელი წუთი. მისმა გახრწნილმა წიაღმა მთლად შეუხუთა სული მცხოვრებლებს, სუნთქვა შეუძლებელი იყო. მეტის ატანა აღარ იქნებოდა: ან სოფლის სიკვდილი, ან ტბის დამარხვა, მისი ამოშრობა, სამუდამოდ თავიდან მოშორება. ორში ერთი უნდა გადაეწყვიტათ და მათ ირჩიეს ისევ ტბის ჩაქოლვა და თვისი სიცოცხლე. სწუხდნენ მოხუცნი ამ გადაწყვეტილებაზე, სამაგიეროთ ახალგაზდები იმზადებდნენ წერაქვსა და ნიჩაბს, რომ ტბისთვის მიწა მიეყარათ.

დადგა ეს დღეც. დილა-ადრიან გაისმა სოფელში განგაშის ხმა და ვისაც კი ცოტაოდენი ღონე ჰქონდა მკლავში, ვისაც ცოტაოდენი გული შერჩენოდა,—ყველამ ერთად ნიჩბითა და წერაქვით მიაშურა ტბას. ათიათასმა ხელმა დაიწყო მუშაობა.

შეტოკდა აშმორებული წყალი, აყაყანდნენ ბაყაყები, ამოძრავდნენ გამძღარი წურბელები, ასისინდნენ გველები, შედგნენ ყალყზე ბინძური ჯოჯოები. იგრძნეს, რომ უდგებათ უკანასკნელი წუთი, ირღვევა მათი მყუდროება, რომ სოფელმა გადასწყვიტა მათი სიკვდილი, თავიდან მოშორება.

შესაზარი სანახავი იყო ამდროს ეს საუკუნოებში სიკვდილივით წყნარი და გვამივით გახრწნილი წუმპე. ზოგი ქვემძრომი აქა-იქ სოროში იმალებოდა, ზოგი უკანასკნელ ძალას იკრებდა და იკბინებოდა საშინელის სიმწარით. ტბა ილებებოდა სისხლით. ბევრმა მუშამ, გველის ისრით გაბასრულმა, უკანასკნელად დაიკვნესა, მაგრამ ათიათასი წერაქვ-ნიჩაბი ელვის სისწრაფით ავსებდნენ სამარეს და იმარხებოდა სოფლის ჭირი, სოფლის გამათახსირებელი ტბა.

მალე ამ საშინელ ადგილზე აიმართა ყორე. მის ქვეშ დაიმარხა სიბინძურე, შხამი და გესლი, გაიწმინდა ჰაერი, მოისვენა სოფელმა, ჩაჩუმდა ტირილი და გოდება. ხალხს ფერი ეცვალა, ის განიკურნა და ძალ-ღონე მოცემული შეუდგა თავისუფალ შრომას თავის საბედნიეროდ. მას ეხლა აღარ ეშინიან აღარც სულშემხუთავი ჰაერისა, აღარც შხამიანი გველებისა.

იმ ადგილას, სადაც ეს ტბა იყო, ხალხი ეხლა „გველების ყორეს“ ეძახის, ხოლო სოფლის ერთს მშვენიერ კორდზე, სადაც თავ-განწირულ ძმათა საფლავია, ამართულ ნიჩაბ-წერაქვზე დააწერეს: „წერაქვმა და ნიჩაბმა დამარხა ტბა, რომელიც საუკუნოების განმავლობაში შხამავდა სოფელს“.

ი. ევდოშვილი.

### ლეგენდა

უზარმაზარ ტაძარში ძვირფასის თვლებით შემკულ ოქროს ტახტზე იჯდა კერპი. წინ ედგა ორი სამსხვერპლო. ერთზე სწირავდნენ ადამიანის მსხვერპლს, მეორეზე გუნდრუკს უკმევდნენ. ყოველი არსი, თვით ბუნებაც-კი კერპის წინაშე თრთოდა და კანკალებდა... მზე ამოსვლისათანავე თავის შეუმწიკვლელ სხივებს პირველად კერპის ფერხთა ქვეშ მორჩილებით მოჰფენდა და მხოლოდ მერმე გაანათებდა ხოლმე ქვეყნიერების წყვდიადს... მთვარე ცახცახით ამოკრთოდა და პირველად მის წინ თავს იხრიდა, ვარსკვლავნი შიშისაგან ოდნავ ციმციმებდნენ ღამის სიმშვიდე გუშაგად ედგა და ფოთლებს განძრევას უკრძალავდა, კერპს ძილი არ დაუფრთხოთო. ნიავიც მხოლოდ მაშინ დაჰბერავდა ხოლმე, როდესაც ღმერთი მოისურვებდა... აღარ ისმოდა ფრინველთ ჟრიამული. ბულბული სდუმდა, ღმერთს მისი მღერა არ მოსწონდა, ხოლო როდესაც ამღერდებოდა, ნაბრძანები ჰქონდა უსათუოდ კერპი ედიდებინა.

ურიცხვი მონა-ქურუმნი კერპს გარს ეხვივნენ და კრძალვით თვალებში მისჩერებოდნენ—უნდოდათ მის მრისხანე სახეზე ქვეყნისა და მთელი კაცობრიობის ბედი ამოეკითხნათ. ვარსკვლავთ მრიცხველნი, მეცნიერნი პირველად კერპს შესწირავდნენ ხოლმე მსხვერპლს და მერმე შეუდგებოდნენ რისამე გამოკვლევას. ქურუმნი და მგოსანნი მუხლ-მოდრეკით გამოსთხოვდნენ ზეშთაგონებას.

—

ბუნებაც-კი კერპის ბრძანებით მოქმედებდა... მხოლოდ ურჩობდა ცაში პატარა ღრუბელი: ის მედგრად იდგა და ადგილიდან არ იძვროდა. ვერავითარი რისხვა, ვერავითარი ბრძანება და მსხვერპლი მას ვერ აშინებდა... პირიქით, ყოველ მის გასაქრობად შეწირულ მსხვერპლის კვამლს თავისაკენ იზიდავდა, გულში იკრავდა, შავდებოდა და დიდდებოდა.

—

როდესაც ღმერთი განრისხდებოდა, ქვეყანას მოიცავდა ხოლმე წყვდიადი... მზე, მთვარე, ვარსკვლავები ციდან წყდებოდა და ქვესკნელში იმალებოდა, ფრინველნი ოკეანეს გადაფრინდებოდნენ, ვარდი თავს ეკლებს აფარებდა, ბულბული ხის ფუღუროში იმალებოდა, ხეს ფოთლები სცვიოდა, დადუმებული ზღვა თავისთვის ბრაზობდა, ბობოქრობდა... ჯოჯოხეთიდან ამოიჭრებოდა ხოლმე ტარტაროზი მთელი ხროვა ეშმაკებითა და ქვეყანას არბევდა, ანადგურებდა...

ამ უსამართლობას პატარა ღრუბელი ზევიდან დაჰყურებდა და უკმაყოფილების ნიშნად ირხეოდა, ღელავდა...

ასე მიდიოდა თვეები, წელიწადები საუკუნოები... ხალხი დაბეჩავდა, გაიხრწნა, დაეცა სულით... ვერა ბედავდა თავის ნებაზე გაელას, თავისუფლად ლაპარაკს, ხმა მაღლა დაძახებას. არ შეეძლო მშიერს ეჭამა, მწყურვალს დაელია, დაღალულს დაეძინა, მხიარულს ეცინა, მწუხარეს ეტირნა... ყველგან გამეფებული იყო შიში, კრძალვა, მუდამ თავ-ჩაღუნული ყოფნა და კერპის თაყვანის ცემა—ეს იყო მათი ბედი! ძილშიაც კი ელანდებოდათ კერპის საშიშარი თვალები, მრისხანე სახე და საზარელი შეხედულობა...

—

კერპის დღეობა იყო. ძვირფასი თვალ-მარგალიტებით საგანგებოდ შემკობილი ტაძარი მთლად ანათებდა. მსახურნი სადღესასწაულო ტანისამოსში მორთულნი გარს ეხვივნენ და მუხლმოდრეკილნი თაყვანსა სცემდნენ. ეს იყო მსხვერპლის შეწირვის დღე... ცის კუთხიდან პატარა ღრუბელი ამოცურდა და ტაძრის თავზე გაინაბა.

მოიყვანეს ურიცხვი მონა, დააწყვეს სამსხვერპლოზე და ცეცხლი წაუკიდეს... დაჰბერა ნიავმა და კვამლი მიმოაბნია...

ზარდაცემულნი მსახურნი დავარდნენ პირქვე, მორთეს ტირილი, დაიმტვრიეს თავპირი—შენდობა სთხოვეს, მაგრამ ამაოდ—მსხვერპლი იწვოდა, ნიავი ჰქროდა, კვამლი ღრუბელს უერთდებოდა... ღრუბელი მრისხანედ გადმოიყურებოდა... კერპის თაყვანისმცემელთ აღარ იციოდნენ რა ექმნათ... თავგანწირულნი ერთმანეთს ასწრობდნენ და ცეცხლში ვარდებოდნენ... გულხელდაკრეფილნი, პირზე ღიმილით თავსა სწირავდნენ თავიანთ ღმერთსა...

ღრუბელი გაშავდა და გაფართოვდა... სამსხვერპლოდან კვამლი აიტაცა და გულში ჩაიკრა.

დაბნელდა. ჰაერი შეიკრა... აქა-იქ გაიელვა და თან მოჰყვა გრგვინვა-ქუხილი... ღრუბელი გადაიპენტა, ტაძარს ირგვლივ მოედო.

გადაიღარა... მტრედის ფერი ცა გამოჩნდა ფრინველები ახმაურდნენ, ბულბულმა მხიარული სტვენა მორთო, ვარდმა გაშალა თავისი გულმკერდი, ფოთლები აშრიალდა, ტყე-ველი აბიბინდა და ქვეყნის მნათობმა თავისი სხივები ტაძრის ნანგრევებს მოჰფინა... კერპი განადგურებულიყო!...

ვალიკო გურული.

## რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა

რუსეთის ცხოვრება ისეთის სისწრაფით იცვლება, რომ ყველა გაოცებული რჩება.

ამ ექვსიოდე წლის წინად ვერავინ ვერ იტყოდა დარწმუნებით, რომ ძირიანად შეიცვლება რუსეთის საპოლიტიკო ცხოვრება, რომ თვით მთავრობა აღიარებს რეფორმების აუცილებლობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთებმაც გადაბეჭდეს, ვითომც 30 მარტს, ქუთაისში ქალაქის განაპირას, ერთ-ერთ დუქანში, რომელშიაც კაზაკები ქეიფობდნენ, შევიდა ვიღაც უბრალოდ ჩაცმული კაცი და მოითხოვა ღვინო, შემდეგ, როდესაც ის მედუქნეს დანახარჯში ათ-თუმნიანს აძლევდა, კაზაკები მისცვივდნენ და, ხელიდან ფული გამოგლიჯეს. მაშინ უცნობმა კაცმა გადიძრო ჩოხა და განცვიფრებულმა კაზაკებმა იცნეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, თ-დ ჯამბაკურ ორბელიანი.

ეს ცნობა გამოგონილია მთავრობის წინააღმდეგ მოძრაობის აგიტატორების-მიერ, რომლებიც სცდილობენ მცხოვრებთა თვალში რუსის ჯარის ღირსების დამცირებას, განსაკუთრებით კი კაზაკებისას, რომლების ენერგია და სხვა მოსაწონი თვისებანი ხელს უშლის არეულობის მომხრეთ.

მათ უნდათ ყოველ ნაირი ღონე იხმარონ და მთავრობა აიძულონ, ჯარები გაიყვანონ, რადგანაც ისინი იმათ მოქმედებას ხელს უშლიან, და მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ თავიანთს საშუალებას მიმართეს და ეს ზღაპარი ხალხში გაავრცელეს.

იმ გაზეთებმა, რომლებმაც ზემორე აღნიშნული დაბეჭდეს, ეს განცხადებაც უნდა გადაბეჭდონ.

—

**რედაქციისაგან.** არავითარი ასეთი ცნობა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის შესახებ ჩვენს გაზეთში არა ყოფილა დაბეჭდილი და ამიტომ ეს ოფიციალური განკარგულება ჩვენ არ შეგვეხება.

# სადღეისო

### ჯაშუშის ფიქრები.

—

დღეს დილით მზე რომ ამოვიდა და მისმა წმინდა სხივებმა შემომცინეს, შემრცხვა... თვალები დავხუჭე, კედლისკენ გადავბრუნდი და მოგონებათ თავი მივეც.

ოხ, რა კარგი უნდა იყოს გულ-წმინდა ადამიანის სიცოცხლე! რა ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია მზეს პირდაპირ უყუროს! მე კი?.. ჯოჯოხეთს ვატარებ გულით და ხშირად, ძალიან ხშირად არა ვფიქრობ ხოლმე ჩემ წარსულზე. ჩემი თავისა მევე მეშინიან. რათა?

იმიტომ რომ ხალხთან პირშავი ვარ!..

წუხელის, ღამის ორ საათზე გავყიდე ჩემი... ძმები, მეგობრები.

განა ასე არ ვეძახდი იმათ, კრება რომ გვქონდა და გაფაციცებით ყურს მიგდებდნენ ცოდნისა და სამართლიანობის მოსურნე მშრომელნი?

„— ძმებო-მეთქი —ვეუბნებოდი ვითომ და გატაცებით — ძმებო! ცხოვრება გაჭირდა, ადამიანი დამცირებულია, ჰაერი მოშხამულია, თავისუფალი ცხოვრება კი არა, სუნთქვაც აღარ შეიძლება. ხელ-კეტიანი მეეზოვე, ლოთი გოროდოვოი, ძეხვებით მოვაჭრე, ყოფილი ჩარჩი — დღეს კი მუნდირში გამოწყობილი — ყველა ჩვენი ბატონი გამხდარა. შიშით ქუჩაზე ველარ გაგივლია, აქეთ-იქით იხედები — ყრუ ქუჩებიდან არ გამოცვივდენ მათი მომხრე ხულიგნები და არ დაგარჩონ.

გულის კანკალით ალამებ დღეს და სულ შეხუთული მოელი ღამის გათენებას. არ იცი, დღე რას მოგიტანს, ღამე რას მოგცემს. თითოეულის კაცის დანახვაზე გული ნიბლიასავით გიფრთხიალებს, გეშინია — თავში არ ჩაგკრას, არ დაგაბეზღოს, ცოლ-შვილი არ აგიწიოკოს, არ დაგატუსაღოს... დატუსაღება!

იცით რა არის დატუსაღება? იცით, რას გრძნობს ბეღურასავით კაკნათში გამომწყვდეული ადამიანი, ადამიანი სინიდისით წმინდა, გულით მართალი, რომელიც ცდილობდა თითონაც ეცხოვრა და სხვაც ეცხოვრებინა, რომელიც მუდამ სიმართლეს ქადაგებდა, მზეს უმღეროდა, ქვეყანას ადიდებდა, რადგანაც ცოდვებიდან განწმედილს შეუძლია მთელი ხალხის, მთელის დუნიის გამოკეთება, გაბედნიერება, გაადამიანება!..

იცით, რა არის დატუსაღება ქვეყნის მოყვარულისა?.. ზის იგი კაცის მკვლელებსა და ავაზაკებთან ერთად ერთ ჭერ ქვეშ და ჰფიქრობს, ჰფიქრობს დაუსრულებლად ძლიერთა უსამართლობაზე, ძლიერთა უდიერობაზე. გარედ მის ფანჯრის წინ ბეღურები ფოთიალობენ, შაშვნი გალობენ, ქუჩებზე ხალხი ირევა, ციხის ძირს მდინარე მიიზლაზნება და მიდუდუნებს, მიდის ბუტბუტით, გულჩახვეული, ტალღებს მიათამაშებს, თავისუფალია, წინ ვერავინ გადაუდგება. დაანგრევს, გაანადგურებს ყოველსავე ზღუდეს, აქაფდება, აღრიალდება, ადიდდება. ზვირთით წალეკავს, ქაფით შემუსრავს მის თავისუფლების მოსპობს... რა ვუყოთ, რომ მას თავზე დაჰყურებს თვალუწვდენელი ლურჯი, კამკამა ცა, გვერდს ამოსდგომიან ბუმბერაზი მთები, მის ნაპირებზე გაშენებულია მობობოქრე ქალაქი... მისი ბატონი მაინც არავინაა. ის თავისთვის არის, თავისთვის სცხოვრობს, სხვას არ უთვლის დღეებსა და არც სხვას დაათვლევინებს თავისას...

ვის რა ხელი აქვს!..

ზის ტუსაღი დარკინულ ფანჯრების წინ, დაღონებული დაძმარებული, და მდინარის თავისუფლება აგონებს თავისის გულის თქმას, თავისს იდეალს, თავისს ავსა და კარგს. გული უჩუყდება, თვალზე ცრემლი ადგება — ლამობს, გაანგრიოს ფანჯრის რკინები, ჩალეწოს თვით ფანჯარა, გადაფრინდეს შორს, შორს თავისთანებთან, თავისს ძმებთან, ამხანაგებთან — უამბოს თავისი თავგადასავალი, თავისი სწარე ფიქრები, სურს ნახოს თავისი სატრფო, მოეხვიოს მიელერსოს და მის კალთაში სიყვარულის ცრემლი დაღვაროს... სურს თავისუფლება, ბედნიერება, მაგრამ ამაოდ აწყვეტავს კედელს თავს. რკინები მაგარია, ფანჯარა ვიწროა... გარედან მოისმის დარაჯის ფეხების ერთგვარი ბაკაბუკი, ხედავს შუბის წვერს, ხედავს გამხეცებულ სალდათს. ოცნებიდან ძირს ჩამოდის... ხელში რჩება ციხის შავ-ბნელი, აყროლებული, ნესტიანი და ყრუ ოთახი! მოესმის გუგუნი ასისა და ათასის თავისავით დატუსაღებულთა, თავისუფლებას მოკლებულთა. რათა, რისთვის ვიტანჯებით ასე? ყვირის, ღრიალებს იგი და პასუხი კი არსაიდან არის... მხოლოდ ჩაბნელებული ციხე კვლავ გუგუნებს... ცოცხლად დამარხულნი კვლავ ოხრავენ...

— რა დაგიშავეთ? — ისევ ყვირის უდანაშაულო ტუსაღი.

— Молчать, скотина! მოისმის თოფ-მოღერებულის დარაჯის ხმა და კვლავ გმინავს ციხე.

— რა დავაშავე? რაღათ მლანძღავ ცოცხლად დამარხულს? — უყვირის ტუსაღი.

დარაჯი სდუმს, როგორც ის შავი კლდე და ღრე, რომელიც მდინარის იქითა ნაპირიდან ასე პირქუშად გამოიყურება.

რა დააშავა?..

ისა, რომ მუდამ სიმართლეს ჰქადაგებდა, ისა, რომ მექრთამეს მოქრთამეობას უკიჟინებდა, მძარცველებს — მძარცველობას, ავს — ავობას... ის დააშავა, რომ სიცოცხლეს, ადამიანურ მოპყრობას თხოულობდა. ის დააშავა, რომ — ენა-პირს არ აყენებდა, ძალ-ღონეს არ იშურებდა თავისიანების უფლებასა და გაადამიანებას თხოულობდა“!..

ძირს, ძმებო, მისი მტარვალები-მეთქი — გულიანად შევუძახე კრებაზე მყოფთ — როდესაც ლაპარაკი გავათავე.

— ძირს, ძირს! — ბანი მომცეს აღფრთოვანებულთ და ისეთი გამომეტყველება მიიღეს, რომ, არა მგონია, ჯოჯოხეთის ძალთაც კი შეეძლოს მათი დაშინება. მაგრამ მე კი... ჩემი სისაძაგლე მაინც არ მოვიშალე.

როდესაც კარგათ ავაზავთე, ფიცი დავადებინე, რომ ერთმანერთს არ უღალატებდნენ და მათ შორის მეთაურიც ამოვურჩიე, რომ ყოველ საღამოთი შეკრებილიყვნენ ხოლმე... გარეთ გამოვედი, ბნელოდა. ქუჩებში უკუნეთი გამეფებულიყო. ერთ ყრუ ქუჩაში — დავუსტვინე.

მოვარდა მოლოდინისაგან ილაჯ-გაწყვეტილი უბნის ზედამხედველი და დამჭყივლა.

— რად მომკალ ლოდინითაო.

— სულელო, ოცი და ოცდაათი კაცი გავაბი-მეთქი მახეში და ყველას გვარები ჩამოუთვალე... გათენებისას ყველანი დაიჭირეს... ახლა ციხეში სხედან... მაშ რათ მეძახიან ჯაშუშს! ხა, ხა, ხა!...

ან კი რა მაცინებს!!.

ამ მზისა მაინც შემრცხვეს!..

რო იცოდეთ, წუხელის რა საზარელი სიზმარი ვნახე: ვითომ ჩემი მსხვერპლები განთავისუფლებულიყვნენ, დამიჭირეს, ყველაფერი მათქმევინეს, ამხანაგები დამასახელებინეს, მერე შემკრეს, შემბოჭეს, მაწამეს, მომკლეს, ენა მომჭრეს და ჩემის ენით ქალაქის უწმინდურებს წმენდა დაუწყეს. ღმერთო! რა საზარელი სურათი იყო! როგორ დავიტანჯე წუხელის!

მერე რო გამართლდეს ჩემი სიზმარი?! განა ღირსი არ ვიქნები? ჰა!..

მომშორდი მზევ! თვალით არ დაგინახავ. საღამომდის გარეთ არ გამოვალ, მერე დაღამდება და სანამ ღამეა — ვინ გაიგებს ჩემ საზარელ ამბებს... მომშორდი მეთქი, მზევ! მე მინდა მუდამ ღამე იყოს!..

მზე მხოლოდ გულ-წმინდებისაა!

**ია ეკალაძე.**

## სახალხო ბიბლიოთეკები ამერიკაში.

ხარკოვის სახალხო ბიბლიოთეკის მმართველობის წევრმა ქ-ნმა ხავკინისამ ერთი ძლიერ სასარგებლო წიგნი გამოსცა: „ბიბლიოთეკები, მათი ორგანიზაცია და ტეხნიკა“.

ავტორს უსარგებლნია ბიბლიოთეკების შესახები ვრცელის ლიტერატურით და თავისის პირადის დაკვირვებით. მცირე ისტორიულ მიმოხილვის შემდეგ, ავტორი განმარტავს, სხვადასხვა ჯურის ბიბლიოთეკების დაარსების საფუძველთ და აგვიწერს უფრო შესანიშნავს სამკითხველოებს. წიგნის ბოლოში აღნუსხული აქვს ბიბლიოთეკების შესახები კანონმდებლობანი რუსეთში და ნაჩვენები აქვს ბიბლიოთეკების წესდებათა ნიმუშები. სხვათა შორის, დიდად საყურადღებოა ის ცნობები, რომლებიც ამერიკაში არსებულ ბიბლიოთეკებს შეეხება.

უმთავრესი თვისება ამერიკის საჯარო ბიბლიოთეკებისა ის არისო, — ამბობს ქ-ნი ხავკინისა, — რომ იგინი **ნამდვილი სახალხონი** არიანო. აქაური სამკითხველოები აკმაყოფილებენ, როგორც მეცნიერთ ისე საშუალო სწავლა მიღებულთ და თვით ანბანის მცოდნეთაც კი. ბიბლიოთეკებით სარგებლობა უფასოა და ყველა დიდის თანაგრძნობით ეკიდება; მთავრობა, საზოგადოება და კერძო პირები დიდ ნივთიერს დახმარებას უწევენ. ბიბლიოთეკები იმ დროსაა ხოლმე ღია, როდესაც მშრომელი ხალხი განთავისუფლებულია მუშაობისაგან და დრო აქვს წიგნის კითხვისა. ამერიკელნი ცდილობენ ბიბლიოთეკებსა და სკოლებს ერთმანეთში განუწყვეტელი კავშირი ჰქონდეთ. ასზე მეტ ბიბლიოთეკებს განსაკუთრებული სამკვითხველოები აქვთ ბავშვებისათვის. ზოგი ერთ ბიბლიოთეკებს ბრმათათვისაც კი აქვს სამკითხველოები. ბიბლიოთეკები იმასა ცდილობენ, რომ მკითხველებს კითხვა გაუადვილონ და ამიტომ ხალხს წიგნთ-საცავებშიაც კი უშვებენ — რომ წიგნის ამორჩევა თითონვე შეეძლოთ. საზოგადოდ ამერიკაში ასე ჰფიქრობენ: სამკითხველო მკითხველებისათვის უნდა იყოს და არა მკითხველი — სამკითხველოსათვის. ოფიციალურის ცნობებიდანა სჩანს, რომ 1875 წელს ამერიკაში 3,682 ბიბლიოთეკა ყოფილა, რომელთაც 12 მილიონი წიგნი ჰქონიათ. 1900 წელში ითვლებოდა 9,261 ბიბლიოთეკა და თითოეულს მათგანს ორთა-შუა რიცხვით 3000 წიგნი ჰქონია. აქედან 5,383 ბიბლიოთეკას ჰქონდა — ათას ტომზე მეტი წიგნი. კერძოდ, 47 ბიბლიოთეკას ჰქონია 100 ათასი ტომი, 3 — სამას ათასზე მეტი და 4 ბიბლიოთეკას 500 ათასზე მეტი. საერთოდ ამავე დროს ყველა ამ ბიბლიოთეკებს ჰქონიათ ორმოც-და-თოთხმეტი მილიონი წიგნი და წიგნაკი. 25 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკათა რიცხვი გაიზარდა $2^1/_2$ ჯერ, ხოლო წიგნთა რაოდენობა — $4^1/_2$-ჯერ. ყველაზე მეტი ბიბლიოთეკები მასსაჩუსეტის შტატშია. აქ ამბობენ: „ხალხის კეთილ-წესიერებისათვის ბიბლიოთეკები იმდენადვე საჭიროა, რამდენადაც ფარნები ქუჩაშიო. პირველად ამ შტატშივე შემოიღეს საბიბლიოთეკო გარდასახადი, რაც ახლა ყველა შტატებშია გავრცელებული. მთელ დედამიწის ზურგზე ყველაზე უდიდესმა ბიბლიოთეკამ ბოსტონში — პირველად სულ მცირედით დაიწყო საქმე, მაგრამ რამდენიმე წლის განმავლობაში იგი ძალზე გაიზარდა. მას უხვადა სწირავდნენ წიგნებსა. ამჟამად გარდა უუდიდესის ცენტრალურ ბიბლიოთეკებისა, მას აქვს ათი განყოფილება, 23 პუნქტი, სადაც წიგნებს აძლევენ და ფაბრიკებსა, სკოლებსა და დიდრონ მაღაზიებში რამდენიმე ათასი აგენტი ჰყავს, რომლებიც მკითხველებს ბიბლიოთეკასთან დამოკიდებულების საქმეს უადვილებენ. ამ სამკითხველოში მსახურებს 378 კაცი. წლიური ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 315 ათასს დოლლარს. ბიბლიოთეკათა სასარგებლოდ თვალსაჩინო შემოწირულებანი ამერიკაში ძრიელ ხშირი მოვლენაა. მოქალაქეთა მოწოდებას, იმის შესახებ, რომ ბიბლიოთეკებს დახმარება აღმოუჩინონ, თითქმის ყოველ დღე შეხვდებით გაზეთებში. ერთი ბიბლიოთეკა თავისს ანგარიშების ყდაზე ყოველთვის აცხადებს ხოლმე იმ ანდერძის ტექსტს, რომლის ძალითაც დაუტოვებიათ მისთვის შემოწირულება, და ეს იმიტომ, რომ სხვასაც გაუადვილოს ანდერძის დაწერა. არსებობს ერთგვარი სია, სადაც ჩამოთვლილია 62 იმ კაცის გვარი, რომელთაც თვალსაჩინო შემოწირულება გაუღიათ. საერთო ჯამი ამ შეწირულებათა უდრის 40 მილიონ დოლარს! ყველაზე დიდ შემომწირველად მილიონერი **კორნეჯი** ითვლება, რომელიც წინააღმდეგია ყოველივე ქველმოქმედებისა — ამ სიტყვის მდაბიურის მნიშვნელობით — და ამბობს: „ღარიბებს ფულით კი არ უნდა აღმოვუჩინოთ დახმარება, არამედ საშუალება უნდა მივცეთ, რომ ებრძოლოს სიღარიბესა და უმეცრებასაო“. ამგვარად, ხალხის კეთილდღეობის მომტანი, მის აზრით, პირველ ყოვლისა, სახალხო უნივერსიტეტია და მეორე — საჯარო ბიბლიოთეკები.

ბოსტონის სამკითხველოს 1900 წელს 72,815 ხელის-მომწერი ჰყავდა და წლის განმავლობაში გასცა მილიონ-ნახევარი ტომი, ე. ი. ორთა-შუა რიცხვით, თითოეულ ხელის-მომწერზე მოდის 20 წიგნი. რადგანაც ბოსტონში 500 ათასი მცხოვრებია, თითოეულზე წელიწადში მოდის 3 წიგნი. ამასთანავე, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბოსტონში 70 სხვა ბიბლიოთეკაც არის და ზოგიერთს მათგანს 100,000 ტომზე მეტი აქვს.

ამერიკაში თითქმის ყველა ბიბლიოთეკას საკუთარი შენობა აქვს და ზოგიერთი მათგანი ხუროთმოძღვრების საკვირველებას წარმოადგენს. თითოეული მათგანი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მკითხველი იყოლიოს და ამიტომ ქალაქის სხვადასხვა კუთხეში თავისს განყოფილებებს აარსებს. მასსაჩუსეტის შტატის მთავრობამ, სადაც სახელგანთქმული ბოსტონის სამკითხველო არსებობს, 1890 წ. დააარსა ერთგვარი კომისია, რომელსაც უნდა აღენუსხა და ადმინისტრაციისათვის შეეტყობინებინა: შტატის რომელ კუთხეში არ იყო ბიბლიოთეკა. იქ, სადაც სამკითხველო არ იყო, შტატი თავისს ხარჯით აარსებდა პატარ-პატარა სამკითხველოებს და, რაკი ბიბლიოთეკა გაჩნდებოდა ხოლმე, შემოწირულებათა და საბიბლიოთეკო გადასახადის მეოხებით, იგი მალეც იზრდებოდა. ათის წლის თავზე კომისიის მოქმედებისა, ე. ი. 1900 წელს შტატის 349 ოლქიდან მარტო შვიდ ოლქს არა ჰქონდა საჭირო სამკითხველო.

საზოგადოდ მასსაჩუსეტის ყველა ბიბლიოთეკებს აქვთ ოთხ მილიონამდე ტომი და ყოველ წლივ $7^1/_2$ მილიონი მკითხველი ჰყავთ, ასე რომ თითო მცხოვრებზე წელიწადში სამი წაკითხული წიგნი მოდის.

# რუსეთი

—

✦ 6 აპრილს კიშინოვში **ჟანდარმება საიდუმლო სტამბა აღმოაჩინეს** და ორ ებრაელს — ცოლ-ქმარს — სწორედ იმ დროს მიასწრეს, როცა ისინი სარევოლიუციო პროკლამაციას აწყობდნენ (ვ.).

✦ 7 აპრილ ოდესაში გაირჩა პოლიტიკური საქმე როეცკისა, რომელსაც **სარევოლუციო პროკლამაციების გავრცელება** ბრალდებოდა (ვ).

✦ იმავე დღეს ვილნაში გაირჩა საქმე 17 წლის მილნერისა, რომელიც **სარევოლიუციო პარტიას ეკუთვნოდა.** მილნერს 1 თვით და 7 დღით დაპატიმრება გადაუწყვიტეს (ვ).

✦ ამ დღეებში პლოცკში მთელი **კრება დაიჭირეს.** დაპატიმრებულთა შორის იმყოფება პოლონეთის ცნობილი მწერალი ადამ ნემიროვსკი (ვ).

✦ ვლადიმირის გუბერნატორმა საერობო უფროსებს ბრძანება გაუგზავნა, ყველა არაკეთილსაიმედო და **საეჭვო პირთა სია შეადგინეთ** და გამომიგზავნეთო. ერთმა საერობო უფროსმა უარი

---

ბასა, რომ რუსეთში დამყარდება კანონიერება და სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში მონაწილეობას ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენლებსაც ექმნებათ მინიჭებული...

დრო შეიცვალა! ძველი წყობილების დაბრუნება არ შეიძლება... მრავალი საუბედურო შემთხვევა ნახა ამ უკანასკნელ ხანებში ხალხმა... მთავრობა სისტემატიურად ცდილობდა ყოველ საზოგადო მოძრაობის მოსპობას...

იყო დრო ისეთი, რომ ყველას ძალა-უნებურად დაეკარგებოდა მომავლის იმედი, მაგრამ ძველი წყობილების სიმკაცრემ მხოლოდ დააჩქარა ახალი ხანის შექმნა რუსეთში.

საზოგადოება თანდათან ფხიზლდებოდა, იღვიძებდა და ბოლოს გამოაცხადა, ასე ცხოვრება აღარ შეიძლებაო!

ასეთ მდგომარეობის შექმნა არ იყო ადვილი. ძველი წყობილება ყველას ისეთი მკვდარი ეგონა, რომ შესაძლებლადაც აღარ მიაჩნდათ მისი შეცვლა და განმათავისუფლებელ მოძრაობის გამარჯვება რუსეთში.

საზოგადოებამ არ იცოდა საკუთარი ძლიერება და გადაეჩვია საზოგადო საქმეებში გარევას. ყველა უპროტესტოდ, წინააღმდეგობის გამოუცხადებლად იტანდა თვითნებობას, პიროვნების შეურაცხყოფას...

საზოგადოება შეეჩვია კომპრომისებს, საზოგადოების მეთაურებიც, ახალ წესების მოტრფიალენიც ვერ ახერხებდნენ შებრძოლებას რუსეთში გაბატონებულ ძალებთან, შეუძლებელი შეიქმნა იმის გარჩევა, თუ რა არის სახელმწიფოში აკრძალული და რა არის ნება-დართული.

ძნელია, საშიშია, საზოგადოების ამნაირ პირობებში ჩავდება!...

ამ ნიადაგზე იზრდება სიძულვილი, იწყება ბრძოლა იმ წყობილების საწინააღმდეგოდ, რომელიც ამახინჯებს ადამიანის ცხოვრებას...

ამ ომის დაწყებამდისაც დაიწყო აქა-იქ ბრძოლა არსებულ წყობილების წინააღმდეგ, მაგრამ ამ გარემოებას არავინ ყურადღებასაც არ აქცევდა.

დაკვირვებული ადამიანი შენიშნავდა, რომ ძველი წყობილება ირღვევა თანდათან, რომ საძირკველი ეცლება, მაგრამ შენობის წინა პირი ჯერ კიდევ მთელი იყო და ამიტომ გარეშე მაყურებელს ეგონა, რომ სახლის დანგრევა მოსალოდნელი არ არის, თუ ამას ხელი არ შეუწყო რომელიმე გარეშე მიზეზმაო.

ამნაირი მიზეზიც გაჩნდა, — ეს იყო ომი იაპონიასთან.

ომის დროს ყოველთვის უფრო ძლიერი ხდება ოპოზიცია, მაგრამ დიდი შეცდომა იქმნებოდა, რომ ეთქვა ვისმე, ახლანდელი მოძრაობა რუსეთში მხოლოდ ეკონომიურ მიზეზებით არის გამოწვეულიო. ზოგიერთი, ცდილობს კიდეც, დაარწმუნონ საზოგადოება, ხალხი მხოლოდ ქონებრივად არის შეწუხებული, მხოლოდ ქონებრივ უზრუნველ-ყოფას მოითხოვსო.

ეს არ არის მართალი. არსებული წეს-წყობილება შეანგრია სწორედ მისმა უვარგისობამ, საქმის უცოდინრობამ, საქმეზე გულის აცრუებამ, მოხელეების უსაქმურობამ, — თავიანთ თავზე ჰფიქრობდნენ და არაფრად აგდებდნენ ხალხის მრავალგვარ საჭიროებას. ათასნაირ მსხვერპლს მოითხოვდნენ ხალხისგან, გადასახადს უმატებდნენ, მოითხოვდნენ ნდობას ხალხისგან და ამ ნდობას არ ამართლებდნენ არაფრით. მთელი ეს ომი თავიდან დაწყებული ბოლომდის ამტკიცებს არსებულ წყობილების არარაობას, დაამტკიცა, რომ ხალხის აპეკუნებს თვითონ სჭირიათ აპეკუნობა.

ომიანობამ დაასრულა ის საქმე, რომელიც ხანგრძლივმა რეაქციამ დაიწყო. ომიანობამ თვალი აუხილა იმათაც, ვინც წინად არავითარ ყურადღებას არ აქცევდა შინაურ მოუწყობლობას და ფიქრობდა, ძლიერი მთავრობა ყველაფერს თვითონვე მოაგვარებსო, ძლიერი მთავრობა თვითონვე ეცდება ხალხის კეთილდღეობასაო.

ეს მოლოდინი გაუცრუვდა ყველას და ხალხში ბიუროკრატიის უნდობლობა გავრცელდა.

ამასთან ერთად გაძლიერდა კლასთა ბრძოლა, ეროვნული აღორძინება და ის დიადი მოძრაობა მომზადდა, რომელმაც ახლა რუსეთში ყოველი ერი და ყოველი ადამიანი გაიტაცა.

ახლანდელ მოძრაობაში მონაწილეობას იღებს ინტელიგენცია, მუშა ხალხი და სოფლელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად მთელ რუსეთში არ მოიპოვება ადამიანი, რომელიც ახლანდელ წყობილების კმაყოფილი იყოს, და თანდათან იშვიათი ხდება ისეთი კაცი, რომელიც მზად იყოს უბრძოლველად დაემორჩილოს ახლანდელ მდგომარეობას.

მორჩილებისა, ხმის ამოუღებელ უკმაყოფილებისა და უმოქმედო პროტესტების დრო წავიდა, მოისპო.

რაღა დასამალავია ის, რასაც აშკარად ხედავს და გრძნობს ყოველი ადამიანი: საზოგადოება საბრძოლველ გუნებაზეა, სარევოლუციო მიმართულებას ადგია...

ეს გარემოება უნდა შეიგნოს და გაითვალისწინოს ყველამ, ვისაც კი ხალხის კეთილდღეობაზე აწუხებს.

ჩვენ არა გვაქვს უფლება გავჩუმდეთ იმის შესახებ, რაც შეადგენს ახლანდელ კრიზისის დედა აზრს.

ამნაირ მდგომარეობაში მთავრობა უნდა ცდილობდეს იმას, რომ საზოგადო ძალთა განვითარებას მშვიდობიანი მსვლელობა ჰქონდეს, და ამიტომ სახელმწიფოში ნდობის მოპოვებას უნდა ცდილობდეს.

მაგრამ იქ, სადაც ნდობა დაკარგულია საქმით, შეუძლებელია მისი ხელ-ახლად მოპოვება მხოლოდ ლამაზ-ლამაზი სიტყვების წარმოთქმით.

საჭიროა საქმე, საჭიროა ისეთი საქმე, რომელიც დაარწმუნებს საზოგადოებას, რომ მისი საჭიროება მართლა დაკმაყოფილებული იქნება და არ შეიქმნება ათასნაირ კომისიებში გადაცემული სალაპარაკოდ.

სანამ მთავრობა არ მოიპოვებს ნდობას ხალხში, შეუძლებელია ხალხისა და საზოგადოების დამშვიდება, შეუძლებელია ხალხმა ბრძოლაზე ხელი აიღოს და მოისურვოს ცხოვრების მშვიდობიანი განვითარება.

საქმეს ვერ უშველის ვერავითარი კერძო განკარგულება, ცალ-ცალკე ზომები. ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ცდილობდნენ მუდამ ძირითად ცვლილების შემოღებას რუსეთში, ხელოვნურად ამაგრებდნენ ძველ წყობილებას და მიაღწიეს მხოლოდ იმას, რომ ეს წყობილებას ახლა — დაეცა დამბლად!

ჰკითხეთ ყველა გონიერ ადამიანს, სულ ერთია, მეცნიერი იქნება იგი თუ მხატვარი, ინჟენერი თუ მრეწველი, პუბლიცისტი თუ ჩინოვნიკი, მუშა თუ მემამულე, — ყველა დარწმუნდა, რომ მეტი მოცდა არ შეიძლება, რომ ყოველი კერძო შრომა უნაყოფო და შეუძლებელია.

ნუ თუ არ არის საგულისხმო, რომ ყოველ საზოგადოებას, ყოველ ამხანაგობას, საზოგადო თუ კერძო დაწესებულებას ამჟამად პოლიტიკური ხასიათი მიეცა? ამ დაწესებულებათა წევრებს პირველად არავითარი საპოლიტიკო მიზანი არა ჰქონიათ, მაგრამ ყველა მალე დარწმუნდა რომ საპოლიტიკო მოქმედება აუცილებელი რამეა ყველასთვის.

სხვადასხვა ხნის, სხვადასხვა მიმართულების ხალხი, ღარიბი და მდიდარი, განათლებული და გაუნათლებელი, დიდი და პატარა, — ყველა ერთხმად გაიძახის, რომ არსებულ პირობებში მეტი ცხოვრება არ შეიძლება...

საზოგადოება დარწმუნდა, რომ ამჟამად მთელი მისი შრომა უნაყოფოა და ამიტომ ცდილობს იმნაირად მოეწყოს საქმე, რომ უსარგებლოდ არ იყოს შეზღუდული კერძო ან საზოგადო ცხოვრება.

მიზანი ცხადია! ისე ცხადა, რომ ამ მიზანს მალე მიაღწევს ხალხი!..

არ არის ცხადი მხოლოდ ის გარემოება, თუ რა გზით მიაღწევს ამ მიზანს გამოფხიზლებული რუსეთის საზოგადოება, არ არის ცხადი, იმიტომ რომ ეს, სხვათა შორის, თვით მთავრობაზედაც არის დამოკიდებული.

დაწყებულ მოძრაობის გაჩერება არ შეუძლია მთავრობას. ცხოვრება გართულდა და ერთ ადამიანს არ შეუძლია ყველაფერი თვითონვე განაგოს...

მეორე მხრივ, მეფისა და ბიუროკრატიის ბატონობა სახელმწიფოში, რომელსაც ახლა ვხედავთ რუსეთში, შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებას ჯერ შეგნებული არა ჰქონდა, თუ რამდენად უვარგისია ის წყობილება, რომელიც ხალხს ართმევს ყოველგვარ უფლებას, რომელიც ამ უფლებას სასახლისა და ბიუროკრატიის პრივილეგიად აცხადებს.

ამ წყობილების შერჩენა შესაძლო იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხი ჯერ არ ითხოვდა ხმამაღლა დაკეტილ კარის გაღებას.

ეხლა კი საქმე ისეა, რომ საჭიროა მთავრობამ შეიგნოს, თუ რამდენად მძიმეა ახლანდელი მდგომარეობა, და თვითონვე შემოიღოს აუცილებელი რეფორმები, სანამ მათი შემოღება თვით მთავრობაზეა დამოკიდებული და ხალხი არ იხმარს ძალას რეფორმების შემოსაღებად.

ვისაც ცოტაოდენად მაინც შეუსწავლია ის მოძრაობა, რომელიც იყო 1840 წწ. ინგლისში, 1789 წ. საფრანგეთში, 1848 წ. ავსტრიასა და პრუსიაში და სხ. და სხ., ეცოდინება უთუოდ, თუ როგორ უნდა შემოვიდეს ეს რეფორმები რუსეთში...

მთავრობამ ვერსად ვერ შესძლო დაწყებულ მოძრაობის მოსპობა.

ისტორია გვიმტკიცებს, რომ ხალხისთვის და თვით მთავრობისთვისაც უკეთესი ყოფილა, როდესაც ადრე, დროზე შეიგნებდა რეფორმების აუცილებლობას...

საჭიროა, შეიგნოს მთავრობამ, თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს ახლანდელ მდგომარეობას. საზოგადოებამ უკვე შეიგნო იგი და შეშინებული ხედავს, რომ მთავრობა ჯერ ვერ მიმხვდარა, თუ რა საშინელ ხიფათში აგდებს იგი რუსეთსა და თავის თავსაც.

ადამიანს ეგონებოდა, რომ 9 იანვრის ამბები პეტერბურგში, გლეხთა მოძრაობა სოფლად, კავკასიასა და სხვა განაპირა ადგილებში დაწყებული მღელვარება, საზოგადოებაში გავრცელებული უკმაყოფილება, სამხედრო დისციპლინის თანდათანი დარღვევა, — ყველა ეს მოვლენა ცხადად ღაღადებს იმას, თუ რა მოელის რუსეთს შემდეგში იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა კიდევ დაიწყებს ყოყმანს და ძველებურად ერთის მხრივ საპოლიციო ზომებს მიმართავს და მეორეს მხრივ კიდევ ბიუროკრატიის პრინციპს, — divide et impera!

საპოლიციო ზომები, ხალხის სხვადასხვა ნაწილის ერთმანეთში გადამტერება თანამედროვე პირობებში ვერ გასჭრის, მხოლოდ საშინელ ამბებს დაატრიალებს რუსეთში.

საპოლიციო ზომებით მხოლოდ იმის გაჩერება არის შესაძლო, ვისაც ეშინია პოლიციისა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ზომებით გასაჩერებელი ცოტაა.

ახლა კი, როდესაც მთელი ხალხია ამხედრებული, როდესაც საბრძოლველად არის ყველა გამზადებული, — ამ ზომებს მხოლოდ საქმის გამწვავება თუ შეუძლია, სხვა არაფერი!..

საზოგადო ძალთა ერთმანეთში გადამტერებითაც ახლა მოძრაობის გაჩერება არ არის შესაძლო. სიძულვილის მთესველი ივიწყებს, რომ არ შეიძლება ამ სიძულვილზე სახელმწიფო წეს-წყობილების აგება. მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, თვითნებობა და ძალმომრეობა მხოლოდ ასეთსავე თვითნებობასა და ძალმომრეობას გამოიწვევს სახელმწიფოში.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1789 წელს საფრანგეთის გლეხობა ჯერ თავად-აზნაურთა მამულებს არბევდა და ყვიროდა „vive le roi“ და

განაცხადა, რისთვისაც გუბერნატორმა ადგილიდან დაითხოვა (ვ. ა.).

◆ ტულის გუბერნიაში ქალაქებსა და სოფლებშიაც ტულის გუბერნატორის სტამბაში დაბეჭდილ **მოწოდებას ავრცელებენ**. მოწოდებაში სწერია: „დაგვიჯერეთ, რომ ის რევოლიუცია კი არ არის საშიშო, რომელსაც თქვენ (რევოლიუციონერები) აპირობთ, არამედ ის კონტრ-რევოლიუცია, რომელსაც ჩვენ მოვახდენთ. ეს რევოლიუცია თქვენი პარლამენტისა და დეპუტატების კვალსაც არ დასტოვებს“ (პ.)

◆ 7 აპრილს ვარშავაში პოლიტიკურის მიზეზით მოკლეს ერთი მეეზოვე, დასჭრეს მეორე და გაიქცნენ. გაქცეულებს სხვა მეეზოვენი გამოეკიდნენ, მკვლელები მობრუნდნენ, ერთი მეეზოვე კიდევ დასჭრეს და მერე მიიმალნენ. (პ.)

◆ 6 მარტს ეკატერინოსლავის სამხედრო სასამართლომ მე-134 ბატალიონის 14 სალდათს გადაუწყვიტა: **სამი სალდათი უნდა დაიხვრიტოს**, რადგან ისინი აფიცერს თავს დაეცნენ და სცემეს. მეოთხე, რომელმაც ამ საქმეში მონაწილეობა მიიღო, უვადოდ კატორგაში უნდა გაიგზავნოს. ორი პატიმართა რაზმში გაიგზავნოს 3 წლით, რადგან იმათ აფიცერი არ დაიცვეს, 6 სალდათიც 3 წლით დისციპლინალურ რაზმში გაგზავნა, რადგან ეს ამბავი მთავრობას არ შეატყობინეს, ორი გაამართლეს (კ. ო.).

◆ ჩელიაბინსკში დიდი არეულობა მოხდა. არეულობის მოსასპობლად 2 როტა ჯარი გამოიწვიეს (უ. ჟ.).

◆ უმაღლეს ბრძანებით ბარონ მეიენდორფს, რომელიც გლეხთა მოძრაობის დროს დაზარალდა, **ხაზინამ ფულით შემწეობა აღმოუჩინა** (პ.).

◆ პოლესიეს მხარეში აუარებელი **სარევოლიუციო პროკლამაცია გაუვრცელებიათ**. პროკლამაციებს ყველგან იპოვით: ხეზეც არის გაკრული, კედლებზედაც, კარებზედაც და სხ. (პ.)

## შამშე ი. გელოვანის მოკვლისა და დასაფლავების ამბავი.

როგორც ყველამ უწყის, დღეს არ არის რუსეთის სახელმწიფოში ისეთი კუთხე, სადაც კი ადამიანი ცხოვრობს, რომ მღელვარება არ იყოს. პროტესტს არ აცხადებდეს აწინდელ ცხოვრების უვარგისად გახრწნილ პირობების წინააღმდეგ. ასეთმა მღელვარებამ, ეს ერთი თვეა, იჩინა თავი ქვემო სვანეთშიაც (სადადიანო) და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი მართებლობის პირთაგანი არ მიჰკარებია ხალხს დასამშვიდებლად და მოძრაობის გამოსარკვევად.

სვანების მოძრაობამ უზომო და გადაჭარბებული ხასიათი მიიღო. აუცილებლად საჭირო იყო შეგნებულ კაცის მისვლა და ხალხის სწორ გზაზე დაყენება.

ამ მიზნით განსვენებული შამშე წავიდა ერთი თავის ამხანაგით სოფ. ჩოლურში, სადაც თვ. გარდაფხაძეები ცხოვრობენ. ხუთ აპრილს ხალხი შეკრიბეს, მაგრამ არც ერთი გარდაფხაძეთაგანი ამ ყრილობას არ დასწრებია. შამშემ და მისმა ამხანაგმა საზოგადოებას აუხსნეს, რომ ასეთი წრეს-გადასული მღელვარება საშიშია მათივე კეთილ-დღეობისათვის, ამისათვის სთხოვეს ხალხს, მოესპოთ კაცის კვლა, სახლების წვა და შემამულეებთანაც ისე მოქცეულიყვნენ, რომ არ ჩამოვარდნილიყო მტრობა და ერთმანეთის დაუნდობლობა. ხალხი ძალიან ნასიამოვნები დარჩა ასეთი დარიგებით და აღუთქვა, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, მშვიდობიანი ქცევა და ცხოვრება.

აქედან შამშე თავის ამხანაგით უნდა წასულიყო ლაშხეთის საზოგადოებაში, სადაც საშინელი არეულობა იყო. ლაშხეთისაკენ მიმავალი გზა გარდაფხაძეთა ჭიშკრებზე გაივლის, ამისათვის ხალხმა მოინდომა მათი გაცილება, მაგრამ განსვენებულმა შამშემ უთხრა ხალხს, რომ თქვენს გაცილებას გარდაფხაძეები სულ სხვა ხასიათს მისცემენ, მე ისინი არას მერჩიან, ჩემი ნათესავები არიან, პირდაპირ მათთან მივალ და ყველაფერს დაწვრილებით ავუხსნიო. ამ დროს მოვიდა ბლაღოჩინი ი. მარგიანი და უთხრა შამშეს, რომ გარდაფხაძეები ერთობ აღელვებული არიან და მე არ გირჩევთ იქით წასვლასო. მაგრამ შამშემ არ დაიშალა წასვლა, რადგან უნდოდა პირდაპირ გარდაფხაძეებთან მისულიყო, საქმის ვითარება კარგად აეხსნა და დაემშვიდებია.

მიაღწიეს თუ არა გარდაფხაძეების ეზოებთან, მოესმათ რამოდენიმე თოფის გრიალი. თურმე ოთხი კაცი მოდიოდა ლაშხეთიდან შამშეს და მის ამხანაგის მოსაგებებლად; გარდაფხაძეები გზაში ჩასაფრნენ მომავალთ, თოფები დაუშინეს, ერთი მსუბუქად დასჭრეს და დანარჩენებმა თავს უშველეს. თოფების ხმაზე შამშემ უთხრა თავის ამხანაგს, —შენ დაბრუნდი, მე შევალ, ისინი არას მერჩიან და ყველაფერს გავიგებო. ამხანაგი დაბრუნდა, რომელსაც მხლებელიც გამოატანა, და თვითონ-კი შევიდა მ. გარდაფხაძის ეზოში.

შამშეს ეზოში ბავშვები დახვდნენ, რომელთაც მიეალერსა, გადაჰკოცნა. ამ დროს რვა შეიარაღებული გარდაფხაძე ეზოში შემოვიდა, მაგრამ მოღალატეებმა მშვიდობიან უიარაღო კაცსაც ვერ გაუბედეს პირდაპირ შებრძოლება და შეცვივდნენ სახლში, საიდგანაც დაუშინეს თოფები უდანაშაულო მსხვერპლს. საბრალო შამშეს ერთი ტყვია მოხვდა, დანარჩენი მკიდიკო ასცილდა, მაგრამ ამას როდი დასჯერდნენ მოღალატენი; ისინი ჩამოვიდნენ ეზოში და მსხვერპლს დაუწყეს სინჯვა, მკვდარია თუ არაო.

შამშემ, რა დაინახა ახლოს მოსული ჯალათები, უთხრა: „რას მერჩით, ადამიანებო, მე ხომ თქვენს სამტროდ არ მოვსულვარ,—მე მსურს გაიგოთ ჭეშმარიტება და გთხოვთ მათქმევინოთ ორიოდე სიტყვა, ხოლო შემდეგ, რაც გერჩიოთ, ის მიქენითო.“ მაგრამ ჯალათებმა პასუხის მაგიერ ცხელი ტყვიები მიაყარეს მომაკვდავს და მსწრაფლ შეიხიზნეს ციხეში.

ამ საშინელ ავაზაკურ ამბავს უყურებდა ერთი გლეხის 15 წლის ბავშვი. გარდაფხაძეები როგორც შევიდნენ ციხეში, გლეხის ბიჭი მივიდა ტირილით სისხლში მცურავ შამშესთან,—უბედურს ჯერ კიდევ ჰქონდა გრძნობა და, რა დაინახა მის წინ მტირალი გლეხის ბიჭი, ჰკითხა: „ძამიკო, ჩემი ამხანაგი ხომ გადურჩა მხეცებსო“.? ბავშვმა მიუგო, რომ ის უკვე სამშვიდობოში არისო. მაშინ საბრალო შამშემ ამოიღო ჯიბის პატარა რევოლვერი და გადასცა ბავშვს შემდეგის სიტყვებით: „აჰა, ძამიკო, ეს სამახსოვროდ შენთვის მიჩუქნია და ხალხს გადაეცი, რომ გამარჯვება მისიაო“,—და სულიც განუტევა.

გარდაფხაძეებმა დაინახეს ციხიდან, რომ მათმა მსხვერპლმა რაღაც გადასცა გლეხის ბიჭს; გამოცვივდნენ, ბიჭს რევოლვერი წაართვეს და ცემა-ტყეპით გააგდეს, ხოლო უსულო გვამს აართვეს საათი, ფული, ნაბად-ყაბალახი, კალოშები და რაც რამ ჰქონდა. გაძარცულ, წამებულ-ტანჯულ შამშეს გვამი-კი დააგდეს მინდვრად, ცის ქვეშ, უპატრონოდ.

აი, მკითხველო, ის საშინელი, ჩირქის მომცხები ამბავი, რომელიც ჩაიდინეს გარდაფხაძეებმა. მართალია, ასეთი სამარცხვინო საქციელი პირველი არ არის გარდაფხაძეებისაგან: ისინი მუდამ იყვნენ მძარცველნი, ავაზაკნი, სისხლის მსმელნი, მოღალატენი, ფრთხილნი და ქურდულად მომქმედნი.

კვირას, 10 აპრილს, ს. ჩოლურიდან გამოასვენეს შამშეს გვამი. აღწერაც შეუძლებელია, რა გლოვა-ტირილით გამოჰყვა მთელი ქვემო სვანეთი. რამდენ ეკლესიაზედაც გამოატარეს, იმდენ ფიცს აძლევდა ხალხი განსვენებულს, რომ „შენი სისხლის ამღები იქმნება შენი შვილის-შვილი და შთამომავალიო.“ სამშაბათს, 12 აპრილს, მოხდა დასაფლავება, რომელსაც აუარებელი გლეხები დაესწრო. ყოველ საზოგადოებას თავთავისი გვირგვინი ჰქონდა, წითელ ლენტით და ზედ შესაფერის წარწერით შემკული. დილის პირველ საათიდგან დაწყებული, საღამოს ექვსს საათზე დასრულდა სიტყვების თქმა. წარმოითქვა მრავალი შესაფერი სიტყვა. მიღებულია მწუხარების გამომხატველი მრავალი დეპეშა. ამას შემდეგ მიაბარეს ცივს სამარეს საზიზღარ მკვლელობის მსხვერპლი, სიმართლისათვის ტანჯულ-წამებულის შამშე გელოვანის გვამი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ჩვენს შორის, საუკეთესო მეგობარო შამშე!

**უამხანაგო.**

# კორესპონდენცია

**ბათუმი.** აქ ისე დღე არ გავა, რაიმე სისაძაგლე არ ჩაიდინოს-რა ზოგიერთა მაწანწალამ. საკმარისია სადმე შეამჩნიონ რამოდენიმე გროში, რომ პატრონს მაშინვე თავს დაეცემიან, გაძარცვავენ და დაწიოკებენ. ამისთვის არავითარ საშუალებას არ ერიდებიან და არც არავის არჩევენ.

მრეწველი, ვაჭარი, კაპიტალისტი, თავისი აქვს ვისმე თუ სხვისა,—მათთვის სულ ერთია, ისინი ამას არ დაგიდევენ, გწვდებიან კისერში უიარაღო კაცს და, რაც რამ გაბადია, აგაგლეჯენ.

ამ ერთ წელიწადში სამჯერ გაძარცვეს აქ ყველასაგან პატივცემული აქაურ საავადმყოფოს ზედამხედველი კარლო ჩხეიძე. ეს კაცი ცნობილია თავის პატიოსანის შრომითა და რიგიანის მართულებით, მაგრამ განა მგელი ბატკანს დაინდობს?

როგორც ამბობენ, კ. ჩხეიძეს თვიურად ხუთი თუმანი უნდა ურიცხონ უიმისოდაც მცირე ჯამაგირიდან.

შუადღეზე, მარინის პროსპექტზე, ისე გაძარცვეს ხალხს, როგორც ოდესღაც მიქელაიშვილი ძარცვავდა ხასაკირალზე, უდაბურ ტყეში. 14 აპრილს, საღამოს რვა საათზე, შეუვარდნენ კანტორაში ამხანაგობა „გეორგია“-ს კასირს, როცა ეს უკანასკნელი კანტორის დაკეტის შემდეგ სახლში წასასვლელად ემზადებოდა, დაადგნენ თავს რევოლვერებით და, რაც უპოვნეს, წაართვეს.

ყვირილსა და პოლიციის ძახილზე „გაგვძარცვესო“ პოლიცია და სტრაჟნიკები მათრახით ზურგს აგიწყავთ: „როგორ ბედავ სიმშვიდის დარღვევასო“. კანტორისა ან დუქნის ნოქარს, ვისაც ძარცვავენ, თავდაპირველად პოლიცია ეკითხება, სადაური ხარო და, თუ გურული გამოდგა, მეტი მას აღარაფერი სჭირია: „მაშ შენ თითონ იზამდი ამასო“, და მშვიდობიანობის დარაჯნი მაშინვე არხეინად თავის გზას გაუდგებიან. ასე მოიქცნენ „გეორგია“-ს კანტორაშიც.

ვაჭრობა დაეცა, საქმე აღარ არისო,—ყველგან ამას გაიგონებთ. დაეცემა, მაშ რა იქნება ამნაირ მდგომარეობაში. საქონლის შემოტანა-გატანას ვეღარ ახერხებთ, ნავაჭრს იღებთ და ვალის მიცემას ეღარ ასწრებთ. კაცი რომ გააგზავნოთ ფულის მოსატანად, არა ხართ დარწმუნებული, რომ ფულს მოგიტანს უკან, ან გზაში არ წაართმევს ვინმე ან თვითონ არ შეინახავს და არ გეტყვის, რომ წამართვესო. რას უზამ, ვის მიჰმართავ,—ისევ ამჯობინებ გაჩუმდე, ხმა არ ამოიღო, რადგან, თუ იჩივლე, მარკასა და ადვოკატებს ვერ აუხვალ და საქმე კი წლობით არ გათავდება. ამიტომაც აქ ახლა უნებლიედ ის აზრი დატრიალდა, რომ არ შეიძლება ასეთ მდგომარეობაში მუშაობა, ვაჭრობა, აღებ-მიცემობაო. საქონლის გამოწერას უფრთხილდებიან, რაც აქვთ,—ცდილობენ ჩქარა გაჰყიდონ, გინდ ზარალითაც, და, ვისაც კი შეუძლიან, მიანებოს თავი საქმეს და დაადგინოს თავის კანონად საერთო დღევანდელი აზრი: „არ შეგვიძლიან ამ მდგომარეობაში არავითარი მოქმედება, არ გვინდა ეს დაუსრულებლად სააბლაკატო და სააპელაციო სამართალი, არ გვინდა მუქთა მჭამელი პოლიცია, ვთხოულობთ ხალხის სამსჯავროს, ათის თავს, ასისთავებს, რომ მოვსპოთ ეს საზიზღარი ძარცვა-გლეჯა და ქურდობაო“.

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი ყოვლად საზიზღარი მოვლენა. ბათუმში საშინლად გავრცელდა მეძავი ქალები. თითქმის ყველა სასტუმრო სავსეა ახალგაზდა ზნე-დაცემული ქალებით და იცით, რა ხნის არიან ეს საბრალონი? 14 და არა უმეტეს 17—18 წლისა,—სიცოცხლით სავსენი და უსუსურნი. ან კი რა ქნან ამ მართლაც „საბრალოებმა!“ სწავლა მათ იმდენს ვერას აძლევს, რომ თავი ირჩინონ, სამუშაოს ვერსად შოულობენ და, რომ იშოვნონ კიდეც, ვინ დააყენებს. თუ ცოტათი მაინც ლამაზია და ახალგაზდა, მაშინვე ბატონი გამოუჩნდება, ეგრედ წოდებული „სუფნიკი“, დაავლებს მძლავრ მკლავებს, წაათრევს რომელსამე სასტუმროში, აპერინებს ოთახს და უბრძანებს: „აი, იყავი აქ, გადი სტუმრებთან და, რაც აიღო, მე მომეციო“. ამას წინად ორი გურული მკერავი ქალი მოთავსებულან „ევროპის“ ნომრებში; ეს გაუგიათ „სუფნიკ რაინდებს“, ჩაუგდიათ ხელში და გაუქანებიათ, საითაც უნდოდათ. ეს ხდება შუაგულ ქალაქში, მაგრამ ვინ არის პატრონი?..

**რია.**

# ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

23 აპრილი.

**ტოკიო.** ხალხის ყურადღება მთლად მიიპყრო იმ ამბავმა, რომ რუსის ესკადრა საფრანგეთის წყლებზეა. საფრანგეთის სიტყვა სჯეროდათ, მაგრამ, როდესაც დამტკიცდა, რომ რუსის ესკადრა კამრანში იყო გაჩერებული და შემდეგ საფრანგეთისვე სხვა ნავთსადგურებში გადავიდა, მაშინ კი ხალხმა გულის წყრომა გამოაცხადა. მწერლობა საფრანგეთს გაიძვერაობას აბრალებს.

**ბერლინი.** „ბერლ. ტაგ.“-ის ცნობით, იაპონიის წარმომდგენელმა საერთაშორისო რკინის გზათა კონგრესზე კინოსოტში განაცხადა, იაპონიას მრავალ რკინის გზების გაყვანა აქვს გადაწყვეტილი და მოძრავ კუთვნილების მომეტებულ ნაწილს შეერთებულ შტატებში შეუკვეთავსო. გზების გაყვანას ომი ვერ დააბრკოლებს, რადგან იაპონიის ფინანსები ჩინებულ მდგომარეობაშიაო.

**ლიუბეკი.** მოხელეებმა არ გაატანინეს რუსებს კილში შეკვეთილი და გაკეთებული ნაღმოსანი, რომელიც დაშლილი ნაწილ-ნაწილად ლიუბეკს მოიტანეს და აქედან ფინლიანდელთა გემით ჰელსინგფორს უნდა წაეღოთ. მიზეზად ის განაცხადეს, ნეიტრალიტეტი დაირღვევაო.

**პეტერბურგი.** ოფიციალური ცნობა შორეულ აღმოსავლეთიდან 22 აპრილს არ მოსულა.

**გუნჯულინი.** ომის ველზე ცვლილება არ არის. დარი ცვალებადია, ქარია, ხშირად ცივა.

**პარიზი.** ზოგიერთი უმთავრესი საბჭოები სთხოვენ მთავრობას იშუამდგომლოს, რომ მშვიდობიანობა მალე დამყარდეს.

**აახენი.** აქედ გაატარეს 12 სასანიტარო ვაგონი, საფრანგეთიდან რუსეთს გაგზავნილი მანჯურიის ლაშქარისათვის.

**პარიზი.** იაპონიის ელჩმა მეორედ განაცხადა პროტესტი და ამტკიცებს, რომ როჟესტვენსკი გასცდა კამრანის ნავთსადგურს და იქვე ახლო გაჩერდაო. ადმირალ ჟონკიერმა ბრძანება მიიღო წავიდეს მთლად თავის ესკადრით, წესიერება დაიცვას და როჟესტვენსკის განუცხადოს, რომ მოშორდეს იქაურობას.

**ტოკიო.** რამდენიმე სატრანსპორტო გემი ოდესსას მიდის და ნახშირს საიგონში დაიდებს.

**თიანძინი.** ამბობენ, იაპონელები ემზადებიან ვლადივოსტოკსა და სახალინზე იერიში მიიტანონ, რომ რუსის ფლოტს წყნარ ოკეანეზე ბინა აღარა ჰქონდეს.

**მოსკოვი.** გამოცხადდა პროგრამა მოსკოვის მონარქიულ პარტიისა, რომელსაც განუზრახავს შინაურ არეულობის მოსპობაში დაეხმაროს მთავრობას. როდესაც უზენაესი ძალა გაიმარჯვებს, არეულობას მოსპობს და ომს სასახელოდ დაამთავრებს, მაშინ შეუდგება რეფორმების შემოღებას თვითმპყრობლობის განსამტკიცებლად, მართლ-მადიდებელ ეკლესიის განსადიდებლად და ნაციონალურ კულტურის იდეის განსახორციელებლად მთელს იმპერიაშიო.

**პეტერბურგი.** სამხედრო სასწავლებლებში კურსდამთავრებულთ ოთხის თვით ადრე უმაღლესად ებოძათ აფიცრობა და ხელმწიფე იმპერატორმა 22 აპრილს ცარსკოე სელოში უმოწყალესის სიტყვით მიმართა. აფიცრობა ებოძა 992 ახალგაზდას; ამას გარდა, პეტერბურგის საიუნკრო სასწავლებელშიც სწავლა დაამთავრა 165 ახალგაზდამ, რომელთაც აგრეთვე აფიცრობა ებოძათ.

**ოდესსა,** 23 აპრილი. მებულკეები და საცხობების პატრონები შეთანხმდნენ, რომ დღეში 10 საათის მუშაობა იყოსო.

**ვარშავა.** ინჟენერებისა და არხიტექტორების დეპუტაცია სთხოვს მაგისტრატის თავმჯდომარეს ბობიკოვს, რადგან ცხოვრების ბუნებრივი მიმდინარეობა შეირყა, გვიშუამდგომლეთ, რომ სასტიკი გამოძიება დაინიშნოს და დამნაშავენი აღმოაჩინონო. ამ ღონისძიებით შეიძლება ხალხი დამშვიდდესო.

**კალიში.** კსენძებს დაევალა მწყემსურ ქადაგებით ხალხი დაამშვიდონ. ებრაელთა საზოგადოების განკარგულებით, დღეს საღამოს ლოცვა არა ყოფილა თორაში, რადგან არეულობისა ეშინოდათ.

**ჩიკაგო.** ბურგომისტრი აპირობს, თუ საჭიროება მოითხოვს, ყველა მცხოვრები, 18 წლის გადაცილებული, სამხედრო ბეგარაზე გაიწვიოს, რომ ჯარი არ გაურიოს გაფიცულ მეეტლეების დამშვიდებაში.

**სტამბოლი.** ოსმალოს ჯარი მეტად გაჭირვებულია იემენში. ბევრი ჯარის-კაცთაგანი აჯანყებულებს უერთდება, რომლებიც ჯარს თავს ესხმიან.

**რომი.** ხვალ ვიქტორ ჰუგოს ძეგლის აგებას იდღესასწაულებენ.

**ლონდონი.** დიდი აღლუმი გადიდო ივნისისთვის. ყველა გაოცებულია. ზოგს მიზეზად საფრანგეთის ესკადრის მოსვლა ჰგონია. უფრო კი საერთაშორისო საქმეების აწეწის ბრალი უნდა იყოს.

---

ცოტა ხანს შემდეგ იმავე გლეხობამ თვით სახელმწიფო შენობებს დაუწყო განადგურება...

მართალია, რუსეთში ხალხის უმეტესობას სხვადასხვა სახელმწიფო წყობილების სიავ-კარგე ჯერ-ჯერობით სავსებით გაგებული არა აქვს და ხშირად ეკონომიურ კითხვების გადაწყვეტა უფრო საჭირო ჰგონია, და სწორედ ამის იმედით არიან ისინი, ვისაც ენატრება არსებულ წყობილების შერჩენა.

მაგრამ ივიწყებენ, რომ საპოლიტიკო იდეალები მუშა ხალხში და ბევრგან თვით გლეხობაშია ამჟამად გავრცელებული. მართალია გლეხობაში ზოგან გარკვეული საპოლიტიკო იდეალები არ არის, მაგრამ საზოგადოა მთავრობისადმი უნდობლობა და მტკიცე რწმენა, რომ ხალხმა თვითონ უნდა აიძულოს მთავრობა, საზოგადოების მოთხოვნილება დააკმაყოფილოს.

ესეც საკმარისია იმისთვის, რომ შეუძლებელი შეიქმნეს არსებულ წყობილების შერჩენა.

ესეც რომ არ იყოს, მთავრობას მაინც არ შეუძლია დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნილება. საამისოდ მთავრობას არა აქვს საკმარისი ზნეობრივი ავტორიტეტი, გაბედულობა და ქონებრივი ძალები. კუდმოკვეცილ ზომებით საქმის გაკეთება არ შეიძლება.

ძირითად რეფორმების შემოღება კი იგივე რევოლუციაა და ამ ზომების შემოღება შეუძლია მხოლოდ იმ მთავრობას, რომელსაც ენდობა ხალხი, რომელსაც ენდობიან ფულს საზღვარ გარეთის ბაზარზე,—და ეს ნდობა ახლანდელ წყობილებას რომ არა აქვს, ამის საბუთებს მრავლად გვიჩვენებს უკანასკნელ დროის სხვადასხვა მოვლენა.

მხოლოდ იმ მთავრობას, რომელსაც ენდობა ხალხი, შეუძლია დააკმაყოფილოს ხალხის ზოგიერთი მოთხოვნილება, შეუძლია ამასთანავე დასტოვოს აუსრულებლად ისეთი მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილება ჯერ-ჯერობით არ არის შესაძლო.

მთავრობა იმხრობს სოფლელებს ინტელიგენციის საწინააღმდეგოდ.

არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ მხოლოდ ადგილ-მამულის საქმე არ არის ხალხის შემაწუხებელი ამჟამად. არ შეიძლება, ამიტომ, მხოლოდ ამ ერთი საქმის მოწყობით მოიშოროს მთავრობამ ხალხის უკმაყოფილება რუსეთში. გაიხსენოთ, მაგ., მუშათა კითხვა, პოლონელთა საკითხი, ურიების მდგომარეობა.

მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანი იფიქრებს, რომ არსებულ წყობილებას შეუძლია ყველა საკითხის მოწესრიგება. ივიწყებენ, რომ დღეს თუ არ მოეწყო ყველა ეს საქმე, ხვალ მაინც იქმნება მოსაწყობი და მაშინ მისი მოწყობა უფრო საძნელო და სახიფათო შეიქმნება.

ან კიდევ ჰგონია ზოგიერთს, საპოლიტიკო მოძრაობა რუსეთში არ არისო საკმარისად ძლიერი და ამიტომ არ არის საშიში.

ის მთავრობა, რომელიც სახელმწიფოში უკონტროლო ბატონობას შეჩვეულია, ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ ამიერიდან ხალხთან ერთად უნდა იმოქმედოს, ხალხისაგან არჩეულ პირთა კონტროლს უნდა დაემორჩილოს. მას ჰგონია, რომ, რაკი ასი-ათასი ხიშტი ჯერ კიდევ მის ბრძანებას ემორჩილება და მისი გათვითცნობიერებული და მომქმედი მტერი,—ინტელიგენცია,—ჯერ კიდევ უიარაღოდ არის გაჩერებული და მტკიცე ორგანიზაციასაც მოკლებულია,—ამიტომ საშიშიც არაფერია, და საჭიროა მოცდა, მანამ თავის-თავად დაწყნარდება „არეულობა“.

ასე უყურებს საქმეს საზოგადოებაში გაბატონებული ყოველი ჯგუფი, რომელიც ვერ ჰხედავს ხოლმე საშიშარ ნიშნებს იქ, სადაც ყველასათვის ცხადია, რომ დღეს თუ ხვალ უნდა მოელოს ბოლო ამ ჯგუფის გაბატონებას.

გაბატონებული კლასსები ივიწყებენ, რომ აბსოლუტიზმის ოპოზიცია, რომელმაც თითქმის ყოველგან გაიმარჯვა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში, არსად არ ყოფილა იარაღით ძლიერი. ყველგან ჯარი და ბიუროკრატია უკანასკნელ წუთამდის მთავრობის ხელქვეით რჩებოდა, ყველგან ოპოზიცია სხვადასხვა მიმართულებას ადგა, ყველგან მტკიცე ორგანიზაციას მოკლებული ყოფილა, ყველგან ხალხი თავის ეკონომიურ მოთხოვნილებასაც აცხადებდა,—და მაინც ყველგან, ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში, მთავრობამ ძალა-უნებურად დაუთმო საზოგადოებას და დაკარგულ ნდობის აღსადგენად მოიწვია ხალხის წარმომადგენლები. ახლა ჯერი რუსეთზე მიდგა.

ბიუროკრატიული წყობილება ირღვევა მაშინ, როდესაც მთელი მისი პოლიტიკა გამოიხატება მხოლოდ დაშინებაში, ყოველივე საქმის გადადებაში. ვისაც სურს შეირჩინოს უფლება, ამ უფლების მოხმარებაც უნდა იცოდეს, საამისოდ კი არის საჭირო საქმის ნამდვილ მდგომარეობის გათვალისწინება, გარკვეული სამოქმედო პროგრამა და ამ პროგრამის განხორციელების ნამდვილი სურვილი.

სადაც მთავრობა ამ თვისებებს მოკლებულია, მუდამ ირყევა, ერთი ხელით იძლევა იმას, რასაც მეორე ხელით თვითონვე ართმევს; სადაც მთავრობა არ უკვირდება ცხოვრებას, მისდევს თავის წუთიერ შთაბეჭდილებას, თავის საკუთარ სარგებლობას დაეძებს ყველგან,—იქ აუცილებელია ხალხში მთავრობისადმი ნდობის დაკარგვა და საოპოზიციო და სარევოლუციო მოძრაობის გაძლიერება.

მთავრობას უნდა ჰქონდეს ხალხში პატივისცემა. ამ პატივისცემის დაკარგვა საშიშია მისთვის და ხალხისთვინაც,—სახელმწიფოსთვის. ვაი იმ სახელმწიფოს, სადაც ხალხი ჰკარგავს ნდობას მთავრობისადმი, სადაც ხალხი რწმუნდება, რომ მთავრობის იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ უნდა დარჩეს მხოლოდ საკუთარ ძალების იმედით!.. ვაი იმ მთავრობას, რომელიც ამ რწმენას ჩაუნერგავს გულში საზოგადოებას!

ძალმომრეობა საკულტურო ცხოვრებას უარჰყოფს, მას მოჰყვება ადამიანის გამხეცება, მას მოჰყვება საშინელი შედეგი...

ეს სახუმარო საქმე არ არის. არ შეიძლება თვალების დახუჭვა იქ, სადაც მთელ რუსეთს მოედო ძლიერი მოძრაობა, საერთო პროტესტის გამომხატველი. ამ მოძრაობაში ყველა თავის გზას ადგია: ზოგი არღვევს, ზოგი აშენებს ახალს და, როდესაც ხალხი გაუნათლებელია, მაშინ უფრო მეტის სიმკაცრით იგი ადგება დარღვევას, უფრო სასტიკად გამოხატავს უკმაყოფილებასა და უნდობლობასაც...

ასეთი მოძრაობა რომ გაიზრდება ხოლმე, მისი გაჩერება აღარაფრით არ შეიძლება. სულ არავითარი ორგანიზაციაც რომ არ ჰქონდეს ხალხის მოძრაობას, ხალხი მაინც უძლეველია ყოველთვის. ცეცხლის ჩაქრობა შეიძლება მხოლოდ მაშინ როდესაც იგი აქა-იქ მოკიდებას იწყებს; მაგრამ იქ, სადაც ცეცხლი მთელ უზარ-მაზარ შენობას მოდებული აქვს, იქ მისი ჩაქრობა არავის არ შეუძლია, წყლის დასხმას არა აქვს აზრი! ამნაირ შემთხვევაში ცეცხლის ჩამქრობი რაზმიც საქმეზე ადვილად განაცხადებს უარს. ზოგი იტყვის, სულ ერთია,—მაინც ვერ ვაქრობთო, ზოგი თავის თავზედაც იფიქრებს, ზოგი კიდევ ამ ცეცხლის დროს ხელის მოთბობას ისურვებს ალბად.

ცეცხლი უნდა მოეკიდოს მთელ რუსეთს, მალე, ძალიან მალე დადგება ისეთი დრო, როდესაც მისი ჩაქრობა აღარ შეიქმნება შესაძლო. ამიტომ რუსეთის ყველა კუთხეში მთავრობის დამღუპველ პოლიტიკას შიშით შეჰყურებს ყველა და ურჩევს ახლავე ძირითად რეფორმების შემოღებას და ამით იმ ერთად-ერთ გზაზე დადგომას, რომელსაც შეუძლია ააშოროს რუსეთს რევოლუციის საშინელება.

მხოლოდ სულელს და უსვინიდისო ადამიანს შეუძლია იფიქროს, რომ რევოლუციის მომხრენი არიან ისინი, ვინც ცდილობს წესწყობილების გამოცვლას, ვინც ითხოვს ხალხისაგან თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევას, ვინც ითხოვს, რომ არჩევანებში მთელმა ხალხმა მიიღოს მონაწილეობა, ვინც აცხადებს პროტესტს, როდესაც ხედავს პირადობის შეურაცხყოფას...

ყველა, ვინც ითხოვს ამაებს, ცდილობს აიცილოს რუსეთს თავიდან „რევოლუცია,—მის დაწყებამდის უკანასკნელ წამში, ვიდრე ხმას აიმაღლებენ გასაფრთხილებლად.

არავითარის ზომებით არ შეუძლია მთავრობას შეაჩეროს ძველი წყობილების დარღვევა. მხოლოდ ერთად-ერთი რამეა მაზედ ამჟამად დამოკიდებული,—ააცილოს რუსეთს ძალ-მომრეობა.

**ე. გრიმმი.**

(პრავო, № 15).

---

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

# გამოსადეგი ცნობანი

## სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

## საავადმყოფოები:

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტეროსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

**კუკიისა.** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა.** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

**დიდუბის განყოფილება.** ექ. შჩერბინა.

**თვალის სამკურნალო.** კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო** იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

# განცხადებანი

თხზულება ნ. ნიკოლაძისა
იაპონია
ფასი-20კ. აქვე იყიდება დიდი სურათი
შოთა რუსთაველისა ფ.-50კ.
ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“.

(4—110—5)

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
◆ „შრომა“ ◆
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავ საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 23 апрѣля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.